ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 10 ოქტომბერი, 2018 №240 (7785) ფასი: 60 თეთრი

მაია ცქიტიშვილის წინააღმდეგ სკანდალი გორდება

გვ.3

იქნება თუ არა სამთავრობო ცვლილებები

ვანო ჩხარტიშვილი „რუსთავი 2“-სა და „იბერიის“ წინააღმდეგ

ბიზნესმენი ლონდონის სასამართლოს მიმართავს

გვ.7

გვ.7

ლევან აღდგომელაშვილი: „ომეგა ჯგუფის“ საქმეზე გავრცელებული ფარული ჩანაწერები ავთენტურია“

„ოცნება“ ჰააგის სასამართლოში პუტინის გადარჩენას ცდილობს“

„ირაკლი კობახიძე და მისი ვირეშმაკები ქვეყანას ახალი საფრთხის წინაშე აყენებენ“

გვ.2

რომან გოცირიძე: „მარიხუანის საკითხში ხელისუფლება უკანდახევას არ აპირებს“

გვ.3

„ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პოლიცია ბევრად უარესად მუშაობს“

გვ.5

ბაია პატარაია: „ოჯახში ძალადობის მხრივ პოლიციელების ცოლები ყველაზე დაუცველები არიან“

სამართალი გვ.7

აუდიტის სამსახური ექიმების მიერ სალომე ზურაბიშვილისთვის ფულის გადარიცხვაზე მოკვლევას იწყებს

ანგელა ვასილენკო: „საქართველოში დევნიან მსოფლიო მნიშვნელობის მომღერალს, მის საქველმოქმედო ფონდსა და მის ოჯახს“

რუსთავში მამამ ქალიშვილს უკბინა

ეკონომიკა გვ.6

გადაურიცხა თუ არა რუსლან აბაშიძემ სალომე ზურაბიშვილს თანხა პროკურატურაში დაწყებული გამოძიების სანაცვლოდ

ბიძინა ივანიშვილის ფონდი სიღნაღში 4-ვარსკვლავიან სასტუმროს აშენებს

ირაკლი სესიაშვილი: „ყველა უწყების უსაფრთხოების სამსახურების წარმომადგენლების ხელფასები თანაბარი უნდა იყოს“

ISSN 1987-9385

4 „მიმდინარეობს ნაცქოცური შერკინება ულირსი მოქმედებების, და ფარული ჩანაწერების დართვით“

5 ქმარმა ცოლს მობილური თავში ჩაარტყა, დედამთილმა კი აკვნის ჯოხით სცემა

6 რამდენი მრჩეველი ჰყავს პრემიერ-მინისტრს?

4 სასოფლო-სამეურნეო მინის მართვას სპეციალური დეპარტამენტი განახორციელებს

„ოცნება“ ჰააგის სასამართლოში პუტინის გადარჩენას ცდილობს“

„ირაკლი კობახიძე და მისი ვირეშმაკები ქვეყანას ახალი საფრთხის წინაშე აყენებენ“

შორენა მარსაგიშვილი

გოჩა მირცხულავა: „რატომ გაიქცა სალომე ზურაბიშვილი აგვისტოს ომის დროს საფრანგეთში“

მას შემდეგ, რაც სალომე ზურაბიშვილმა აგვისტოს ომის დაწყებაში საქართველო დაადანაშაულა, ამ თემაზე ხსნილი გამოცხადდა და მეოცნებეები ერთმანეთის მიყოლებით სდებენ ქართულ მხარეს ბრალს ომის დაწყებაში.

ამჯერად მძინარე ცხინვალის გაღვიძების გამო გული გორის მერს, კონსტანტინე თავზარაშვილს ამოუჯდა. არადა ის იმ ქალაქის მერია, რომელიც სეპარატისტებმა და მათმა რუსმა პატრონებმა არაერთხელ გააღვიძეს ჭურვებით.

გორის მერის მიერ საქართველოს ქმედებების დაგმობის ამბავი ალბათ მალე ჩააღწევს რუსეთის პრეზიდენტის ყურამდე და ის თავზარაშვილსაც შეუქებს სიმამაცეს, როგორც ცოტა ხნის წინ სალომე ზურაბიშვილს შეუქო.

რატომ გადაწყვიტეს საოცნებო ჩინოვნიკებმა ანტისახელმწიფოებრივი განცხადებების გაკეთება, რა კავშირშია ეს ჰაგის სასამართლოსთან, რამდენი ქართველი დაიღუპა მძინარე ცხინვალის გაღვიძებამდე რუსების და ოსი ბოევიკების ნასროლი ჭურვებით? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი **გოჩა მირცხულავა** ესაუბრება.

– საოცნებო ხელისუფლების წარმომადგენლებმა საქართველო კიდევ ერთხელ დაადანაშაულეს 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებაში. ამჯერად თავი გორის მერმა გამოიჩინა. თქვენი აზრით, რას უკავშირდება ეს აღვირახსნილი კამპანია?

– პირველ რიგში, ჩვენ ერთ რამეს უნდა მივხვდეთ, რომ საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარეობს ჰიბრიდული ომი. ეს იმაში გამოიხატება, რომ რაც შეიძლება ბევრმა საქართველოს მოქალაქემ, საჯარო მოხელემ თუ მაღალი თანამდებობის დაკავების პრეტენზიის მქონე პირმა კოჭი გაუგოროს რუსეთს.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს ხდება მნიშვნელოვანი ისტორიული მომენტის წინ – 2008 წლის აგვისტოს ომში დაზარალებული საქართველო ჰაგის სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება.

ჰაგის სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ქართული მხარის სასარგებლო იქნება, პუტინს დააზარალებს. დააზარალებს კი არა, ეს რუსეთის პრეზიდენტისთვის გულში ლახვრის ჩაცემა იქნება.

დადასტურდება, რომ რუსეთი სულაც არ იცავდა ცხინვალიდან გახიზნულ საკუთარ, ორპასპორტიან მოქალაქეებს, როგორც ამას თავად ამტკიცებს, არამედ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ განახორციელა დაგეგმილი აგრესია.

– მას შემდეგ, რაც გორის მერის განცხადებას დიდი ამბები მოჰყვა, ამ კაცმა თავის მოღალატეობრივ განცხადებას ემოციისგან დაშვებული შეცდომა უწოდა.

– გორის მერის განცხადებას ვერ ვუწოდებ სენსიტიურ და ემოციურად წამოცდენილ ნათქვამს. ეს გახლავთ კლასიკური მოღალატეობრივი გამონათქვამები. იმიტომ, რომ ნარატივი, რომელსაც „ქართული ოცნების“ წევრები და მათი მხარდამჭერები იმეორებენ, დიახაც, მათ მიაწოდა ვიღაცამ.

– ვინ დგას ამ ნარატივის უკან?

– „ოცნების“ ის ფრთა, რომელიც დაბეჯითებით საუბრობს ქართულ სახელმწიფოში ქართული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ აგრესიასა და ომზე. ამ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ ჩვენ არ უნდა წამოვგებოდით პროვოკაციას, ერთი რაღაც მინდა ვუთხრა. 2008 წლის 1 აგვისტოდან 7 აგვისტოს ჩათვლით ანუ არასრულ ერთ კვირაში, კონფლიქტის ზონაში, ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 16 ადამიანი და დაიჭრა 30.

– დაღუპულები და დაჭრილები რომელი მხრიდან იყვნენ?

– ქართული მხრიდან. ეს სტატუს-კვო რომ შეგვენარჩუნებინა, ქართული სახელმწიფოს სათავეში მყოფ პირებს ბედის ანაბარა რომ მიეტოვებინა საკუთარი მოსახლეობა, 2008 წლის 1 აგვისტოდან დღევანდელ დღემდე, კონფლიქტის ზონაში იმ სტატისტიკის მიხედვით, მივიღებდით 8.656 გარდაცვლილს და 16.000-ზე მეტ დაჭრილს.

ასეთი შედეგის მისაღწევად არ უნდა წამოვგებოდით პროვოკაციას? ამაზე აპელირებენ „ქართული ოცნება“ და მისი მხარდამჭერები?

იყო მეორე ვარიანტი – დაგვეცალა კონფლიქტის ზონაში მდებარე ქართული სოფლები. საკუთარი ნებით გამოგვეყვანა ქართული მოსახლეობა და ეს ადგილები მიტოვებული და გახრიოკებული ყოფილიყო? ამისკენ მოგვიწოდებენ მეოცნებეები?

სხვა რა გამოსავალი არსებობდა იმ ვითარებაში, როცა 1 აგვისტოდან 7 აგვისტოს ჩათვლით კონფლიქტის ზონაში საქართველოში აკრედიტებული ყველა ქვეყნის ელჩი იმყოფებოდა. ამავე პერიოდში ჩავიდა კონფლიქტის ზონაში საქართველოში რუსეთის იმჟამინდელი ელჩი კოვალენკო. იქ ასევე ჩავიდა რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩი პოპოვი.

ყველა საკუთარი თვალით ხედავდა, რა ხდებოდა და ყველას კარგად ახსოვს, რა განცხადებებს აკეთებდა მაშინ მარატ კულახმეტოვი, რომელიც კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსი სამშვიდობოების სარდალი იყო.

კულახმეტოვი აცხადებდა, რომ სამშვიდობოები ვერ აჩერებდნენ ოსურ ბანდფორმირებებს. ეს ის ბანდფორმირებებია, რომლებზეც მოგვიანებით ვლადიმერ პუტინი იტყვის – დიახ, რეგულარული სამხედრო ძალების ოფიცრები ამზადებდნენ ამ ფორმირებების წევრებს.

პუტინი იტყვის იმასაც, რომ რუსეთის რეგულარული არმიის ცალკეული ჯარისკაცები და ოფიცრები ირიცხებოდნენ ოსურ ბანდფორმირებებში.

ამის მერე როგორ შეიძლება ისეთი განცხადებების გაკეთება, რომ ომი საქართველომ დაიწყო. საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა ლეგიტიმური უფლება, ნებისმიერი სახით დაეცვა საკუთარი მოსახლეობა.

მოდით, ისიც ვთქვათ, რამდენი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს მაშინ. მესმის, რომ ამ ომს ქართველი სამხედროები შეეწირნენ, მაგრამ მათ ბევრი თანამემამულე გადაარჩინეს.

– დაღუპული სამხედროების ოჯახებს არ აქვთ პრეტენზიები. ისინი ამბობენ, რომ მათი შვილები მოკვდნენ საქართველოსთვის.

– დიახ, ის ბიჭები შეეწირნენ საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლას. ამ დროს „ოცნების“ წარმომადგენლები გვეუბნებიან, რომ არავის არ უნდა გვებრძოლა და 2008 წლის აგვისტოდან დღემდე კონფლიქტის ზონაში 8.000-ზე მეტი ადამიანი დახოცილიყო.

– ეს იმიტომ უნდა გაკეთებულიყო, რომ მძინარე ცხინვალი არ შეწუხებულიყო?

– მაინტერესებს, ვის ეძინა ამ ქალაქში, როცა მთელი მოსახლეობა გახიზნული იყო. იქ მარტო ბანდფორმირებები იყვნენ დარჩენილი, იმათ ეძინათ? ან იქნებ ისიც გვითხრან, რომ კონფლიქტის ზონაში დარჩენილი ქართველები ბომბავდნენ სოფელ თამარაშენს. მათი საუბრები ლოგიკასთან ძალიან არის აცდენილი.

ძალიან ხშირად საუბრობენ ეუთოს რეზოლუციის მეხუთე პუნქტთან დაკავშირებით. წარმოიდგინეთ ომში დამარცხებული, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით გადარჩენილი საქართველო.

გაიხსენეთ, რა ხდებოდა მაშინ მსოფლიოში. ვინმეს ხომ არ ავიწყდება, რომ გერმანიის ყოფილი კანცლერი შრიოდერი „გაზპრომის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო.

ვინმეს ხომ არ ავიწყდება, რომ 2007 წლის ნოემბერში საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა მურიემ განაცხადა, რომ ბუქარესტის ნატოს სამიტზე საქართველო და უკრაინა მაპს ვერ მიიღებენ.

მაშინდელ საქართველოს აშშ-ის უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდა, მაგრამ ევროპაში სხვა სიტუაცია იყო. ევროპული ქვეყნების ხელისუფლებები საკუთარ მოსახლეობას აშინებდნენ რუსული დათვით. მოსახლეობას პირდაპირ ეუბნებოდნენ, რომ თუ ისინი რუსეთში არსებული დემოკრატიის დარღვევებზე თვალს არ დახუჭავდნენ, მოსკოვი გაზს გადაუკეტავდა და ისინი გაიყინებოდნენ.

როდესაც მეხუთე პუნქტზე აპელირებენ უგვანო და უსინდისო ქართველი პოლიტიკოსები, შეხედონ მეოთხე პუნქტსაც და მთლიანად რეზოლუციას.

ზოგადად ასე კონტექსტიდან ამოგლეჯილი პუნქტებით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ კულულეებიანი კობახიძის დაწერილ კონსტიტუციაში რამდენი მუხლია ისეთი, რომელიც ზოგად საკაცობრიო პრინციპებს და ქართველი ხალხის ნებას ეწინააღმდეგება?

ასე რომ, „ქართული ოცნება“ და სალომე ზურაბიშვილი თავიდან ბოლომდე თამაშობენ რუსულ თამაშს. ეს თამაში მიმართულია კონკრეტული მიმართულებით – ჰაგაში პუტინმა არ იწვნიოს მარცხი.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის მიმართ დიდი სიმპათიებით ნამდვილად არ გამოვირჩევი, მაგრამ მას მადლობა მინდა ვუთხრა იმისთვის, რომ ერთმნიშვნელოვნად თქვა – 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით ნებისმიერი არასწორად გაკეთებული განცხადება არის სახელმწიფოსთვის დამაზიანებელი და ამისგან თავი შეიკავეთო.

ეტყობა, ირაკლი კობახიძე და მისი ვირეშმაკები ვერ აცნობიერებენ იმას, თუ რა განსაცდელის და საფრთხის წინაშე აყენებენ ამით ქვეყანას.

– ისეთი გულუბრყვილოები არიან, რომ ამას ვერ აცნობიერებენ?

– არ არის გამორიცხული, ყველაფერს კარგად აცნობიერებდნენ, მაგრამ შეგნებულად მიდიან სახელმწიფოსთვის დამატებითი საფრთხეების შექმნაზე.

ეს განცხადებები კეთდება მაშინ, როცა გაეროს ტრიბუნიდან რუსეთს მოვუწოდეთ საქართველოდან ჯარების გაყვანა.

ვიღაცამ შეიძლება იფიქროს, რომ განცხადებები ომის დაწყებაზე შიდა მოხმარებისთვის არის განკუთვნილი. არ დაიჯეროთ.

შიდა მოხმარებისთვის და ამ ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქისთვის ასეთი ტექსტი უნდა იყოს – იმ პირობებში, როდესაც რუსეთის რეგულარული არმიის ცალკეული წარმომადგენლები და ბანდფორმირებები კლავდნენ ქართველ მშვიდობიან მოსახლეობას, ხოცავდნენ ჩვენს პოლიციელებს და სამხედროებს, ანადგურებდნენ ქართულ სოფლებს, საქართველოს ხელისუფლება დადგა საკუთარი მოსახლეობის ინტერესების დაცვის სადარაჯოზე. მან ლეგიტიმურად განახორციელა ყველა ქმედება, რომელიც კონფლიქტის ზონაში მყოფი ქართული მოსახლეობის დაცვას უზრუნველყოფდა.

აი, ეს არის სათქმელი და არა ის სისულელეები, რომლებიც სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული.

– „ოცნებას“ ჰაგის სასამართლოში პუტინის გადარჩენა უნდაო და რაში სჭირდებათ რუსეთის პრეზიდენტის გადარჩენა?

– ნეტა რაში სჭირდება? თქვენ გჯერათ, რომ 2008 წელს პუტინს მერაბიშვილი ზურაბიშვილში შეეშალა და მისი გვარი ვერ გაიხსენა? ეს ხომ პიარტექნოლოგიის ნაწილია, გაიხსენა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, მაგრამ ვერ გაიხსენა მისი გვარი. მერე ტექსტებში მშვენივრად წერია ზურაბიშვილის გვარი.

რისთვის გაიქცა ზურაბიშვილი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საფრანგეთში და რა დირექტივები მიიღო თავისი ნათესავისგან, არ ვიცი, დეიდაშვილია თუ მამიდაშვილი, მაგრამ ყველამ იცის, რომ ის პუტინის აპოლოგეტია.

ამიტომ, აქ უამრავ საკითხზეა ყურადღება გასამახვილებელი და ამ საკითხს პრაგმატულად უნდა შევხედოთ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რომან გოცირიძე: „მარიხუანის საკითხში ხელისუფლება უკანდახევას არ აპირებს“

ნონა ცაბაძე

კანაფის კონტროლის შესახებ კანონისა და მისგან გამომდინარე პროექტების განხილვა პარლამენტმა ორი თვით გადადო.

აღნიშნული პროექტი, რომლის ინიციატორი მთავრობაა, საქართველოში მცენარე კანაფის მოყვანა-კულტივაციას ითვალისწინებს საექსპორტო მიზნებისათვის. ასევე ბიუროს გადაწყვეტილებით, ერთი თვით გადაიწია იმ საკანონმდებლო პაკეტის განხილვის ვადამ, რომლის მიხედვით, კანაფი/მარიხუანას მოხმარებაზე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მკაცრდება. აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტს მხოლოდ პირველი მოსმენით აქვს მიღებული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე **რომან გოცირიძე** პასუხობს.

– ბატონო რომან, კანაფის კონტროლის და მისი კულტივაციის შესახებ კანონპროექტი პარლამენტმა ორი თვით გადადო. რა ხდება, უკან დაიხიეს?

– გუშინ პარლამენტში კვლავ შემოვიდა საკითხი მარიხუანის კულტივაციის შესახებ. თითქოს ხელისუფლებამ დაუჯერა საზოგადოებას, არასამთავრობო სექტორს, პარტიებს, ეკლესიას და განაცხადა, რომ ამ კანონპროექტს გაიტანდა. თუმცა შემდეგ იხმარეს ხრიკი და თქვეს, რომ ამის განხილვა იქნებოდა გადადებული, სანამ არ მოხდებოდა შეთანხმება საზოგადოებასთან. ეს უკვე იყო პირველი ნიშანი, რომ არავინ არ აპირებდა უკანდახევას.

– ანუ უკან არ დაუხევიათ?

– პარლამენტის ბიუროზე მიიღეს გადაწყვეტილება ამ კანონპროექტის განხილვის ორი თვით შეჩერების შესახებ. ალბათ დაელოდებიან არჩევნების დამთავრებას და შემდეგ კანაფის შესახებ კანონპროექტს უმრავლესობა მიიღებს. ანუ მათ ანგარიში არ გაუწიეს არავის.

– დროებით შეაჩერეს? საზოგადოების მოტყუებას შეეცადნენ?

– იმდენად დახარბებულები იყვნენ ფულზე, რომ იმაზეც კი თვალი დახუჭეს, თუ რა ზიანი შეიძლებოდა მიდგომოდა მათ წინასაარჩევნოდ. არჩევნების წინაც კი ვერ მოითმინეს და დააწესეს მისი განხილვის ვადა – ორი თვე. უნდათ, რომ მისი განხილვის პროცესი სწრაფადვე დაიწყოს პარლამენტში.

როგორც ჩანს, მათი ლოგიკა ასეთია, თუ არჩევნებს წავაგებთ, მაშინ რა გვენაღვლება, უარყოფითი შედეგი ისედაც მომხდარია. ხოლო თუ არჩევნებს მოვიგებთ, ხალხი ცხვარია და ჭარბი ნდობის გამო ყველაფერს გვპატიობენ.

– რა იქნება ორი თვის შემდეგ?

– ორი თვის შემდეგ ჩვეულებრივი პროცესი დაიწყება და მოხდება ამ კანონის მიღება პარლამენტის მიერ. დეპუტატები იძულებულები არიან, დაემორჩილონ ივანიშვილის ნებას. საზოგადოებას ტანკივით მიაწვებიან, რომ ეს საკითხი გაიტანონ, თორემ ბიძინასგან ტანკი რად უნდათ, თითის გატკაცუნებაც ყოფნით.

ეკლესია, საზოგადოება, არჩევნებიც კი ფეხებზე დაიკიდეს, იმიტომ, რომ ბიძინას სურვილი ყველაფერზე მაღლა დგას. ძალიან ბევრი მოსდით, ფული უბნელებთ გონებას. სალომე და მარიხუანა ერთად ძალიან დიდი ულუფაა.

– ვერ გადაყლაპავენ?

– ჩვენ ჩვენი მხრივ ყველაფერს ვეცდებით, რომ ეს ოცნება არ ავუხდინოთ. სერიოზულ წინააღმდეგობას გავუწევთ. როდესაც დაიწყება პარლამენტში ამის განხილვა, ჩვენი ფრაქცია ყველანაირად შეეცდება, რომ ეს არ დაუშვას. მე დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოებაც აქტიურად ჩაერთვება

და ჩვენ ერთად ვეცდებით, რომ ეს საკითხი არ გავატანინოთ. მით უმეტეს, რომ ერთმანეთზე უარესი რამ ხდება ქვეყანაში.

– რა ხდება?

– რომელი ერთი ვთქვა?! ომეგას სკანდალი, კორუფციული ფაქტები, სალომეს საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელება, რომელიც მოსიარულე საფრთხეა ქვეყნისთვის, ახლა ეს მარიხუანას თემაც და ძალიან ბევრია ამ ერთ თვეში! იმდენ ნეგატივს ატენიან მოსახლეობას, რომ ლამის დაახრჩონ. ამიტომ მარიხუანას თემაზე ვითომ უკან დახევა და სინამდვილეში შემდეგ შეტევაზე გადასვლა, ხელისუფლებას კარგად არ დაუმთავრდება.

– სერიოზულ თანხებზეა საუბარი? ან სად წავა ეს თანხები?

– აქ საუბარი იმის თაობაზე, რომ საქართველოს მილიარდს მოუტანს ამის ექსპორტი, სისულელეა! საქართველოს თუ რაიმე შეუქმნია და მერე ის ექსპორტზე გაუტანია – ოქრო, სპილენძი, ფეროშენადნობები, ღვინო, ბორჯომი და ხილი – ყველაფერი, ერთად აღებული, არის 2 მილიარდი ჩვენი ექსპორტი. რომელი სულელი დაიჯერებს ახლა იმას, რომ 2 მილიარდიან საექსპორტო საქონელს შექმნის ხელისუფლება?! ეს არის აბსოლუტურად ტყუილი.

– არ იქნება ეს თანხები?

– ფული იქნება, რა თქმა უნდა. ეს ერთი კომპანიისთვის თუ ერთი ადამიანისთვის იქნება საკმაოდ დიდი. შესაძლოა იყოს 50 ან 100 მილიონიც, მაგრამ როდესაც ასეთ დიდ რიცხვებს ასახლებენ, ამით ხალხს ატყუებენ. თითქოს ისინი ზრუნავენ ხალხზე და ქვეყანაზე, თითქოს სამუშაო ადგილები შეიქმნებაო და ამით უნდათ, რომ შენიღბონ მათი პირადი ინტერესები, სადაც საკმაო რაოდენობის ფულია, ოღონდ არა ქვეყნისთვის, არამედ მათთვის.

ისევე, როგორც ბიტკოინების ქარხანა, რომელსაც ასეულობით მილიონები შემოაქვს ვიღაცისთვის, მაგრამ ნული თეთრი შედის ბიუჯეტში, რადგან ის არის საშეღავათო რეჟიმში. არ არის გამორიცხული, რომ კანაფის თავისუფალი ზონები შეიქმნას და ბიუჯეტში შეტანილი თანხა და ქვეყნისთვის რაიმე სარგებელი იქნება ნული!

კანაფის ინდუსტრია საკმაოდ განვითარებული იყო ისრაელში, ძალიან მაღალი ტექნოლოგიური ქარხნები იყო, მაგრამ 8 თვეა, გაჩერებულია და ძალიან დიდი ვნებათაღელვაა ფერმერების და ბიზნესმენების მხრიდან ისრაელში, რომლებმაც ამ ბიზნესში ასეულობით მილიონები ჩადეს.

– რატომ შეაჩერეს?

– მთავრობამ შეაჩერა იმის გამო, მათ ეშინიათ, რომ ვერ დაიცავენ მარიხუანის სივრცეში გავრცელებას. იქაც ზუსტად სამედიცინო დანიშნულებისთვის იწარმოებოდა, რომელიც შემდეგ გადამუშავებული ფორმით შეიძლება გამოყენებული იქნას ნარკოტიკად. დღეს სწორედ ამის გამო სერიოზული დაპირისპირებაა ისრაელის ხელისუფლებასა და ხალხს შორის.

ასე რომ, ეს არ არის მარტივი საკითხი. მით უმეტეს, დღეს ჩვენთვის რა არის პრიორიტეტი, რამდენიმე ადამიანს ვაშოვნინოთ ფული თუ ის რისკები, რომლებიც არსებობს, დავაზღვიოთ?! 10-20 ან თუნდაც 30 წლის შემდეგ შესაძლოა სახელმწიფო ისე მოძლიერდეს, რომ შეძლოს დაცვა, მაგრამ დღეს გაღატაკებულ სახელმწიფოს, რომლის მოსახლეობის ნახევარი უმუშევარია და გვაქვს ნარკოტიკის მოხმარების უზარმაზარი ტრადიცია, ამ ქვეყანაში ჩვენ, როგორც არ უნდა იყოს აღჭურვილი ტექნოლოგიურად, მაინც ვერ დავიცავთ, რომ არ მოხდეს მისი შიდა ბაზარზე გავრცელება.

მაია ცქიტიშვილის წინააღმდეგ სკანდალი გორდება

იქნება თუ არა სამთავრობო ცვლილებები

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულ ოცნებაში“ მორიგ სამთავრობო ცვლილებებზე ალაპარაკდნენ. კრიზისში მყოფმა მმართველმა პარტიამ, შესაძლოა, ბარტყების მსგავსად, ერთი-ორი მინისტრი გადმოაგდოს.

მედიაში უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ არჩევნების შემდეგ თანამდებობას დატოვებს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია.

სააგენტო „თაიმერის“ ცნობით კი ბიძინა ივანიშვილი თანამდებობიდან ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილს გაუშვებს. „ახალ თაობას“ მმართველ პარტიაში ეს ინფორმაცია არ დაუდასტურეს.

„ქართული ოცნება“ რამდენიმე თვის წინაც უარყოფდა ცქიტიშვილის წინამორბედ ზურაბ ალავიძის შესაძლო გადადგომას. აღსანიშნავია, რომ მისი წასვლის შესახებაც „თაიმერმა“ გაავრცელა ინფორმაცია. მგზნებარე უარყოფის ფონზე ალავიძემ მართლაც დატოვა თანამდებობა.

ალავიძისგან განსხვავებით, ივანიშვილს ცქიტიშვილთან განშორება უფრო უნდა გაუჭირდეს. ინფრასტრუქტურის მინისტრი მის კადრად ითვლება. მისი პრემიერობის დროს გახდა ის მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი.

პრემიერობიდან გიორგი კვირიკაშვილის ტრიუმფალური წასვლის შემდეგ მის ერთ-ერთ შემცვლელად სწორედ ცქიტიშვილი განიხილებოდა. მთავარმა მეოცნებემ არჩევანი რატომღაც მამუკა ბახტაძეზე შეაჩერა, მაია ცქიტიშვილზე კი თქვეს, რომ ის „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი იქნებოდა.

მოხდა ისე, რომ ივანიშვილთან დაახლოებული ხელოვანის მეუღლემ მთავარ მეოცნებეს თავისი დაქალის, სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა ურჩია. მეოცნებეთა შორის მთავარი დათანხმდა, თავისი ერთგული კადრი კი მეტად მნიშვნელოვან თანამდებობაზე დატოვა.

ახლო მომავალში ცქიტიშვილი, შესაძლოა, ამ თანამდებობას დაემშვიდობოს. „თაიმერის“ წყაროს ინფორმაციით, ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობას გიორგი ჭოლაძე დაიკავებს.

ეს უკანასკნელი პრემიერ მამუკა ბახტაძის უახლოესი გარემოცვაა. ბახტაძემ გაპრემიერებისთანავე ჭოლაძისათვის სპეციალური სამსახური შექმნა.

ინფრასტრუქტურის სამინისტრო გამუდმებით კორუფციული სკანდალების კერაა. ალავიძესაც ამიტომ დაატოვებინეს ეს პოსტი. ცქიტიშვილის გამინისტრების შემდეგ ამბობდნენ, რომ ის უწყებას ალავიძის კადრებისგან გაწმენდდა. ალავიძის კადრები სამინისტროში დარჩნენ. „თაიმერის“ წყაროს ცნობით, ახალი მინისტრი წინამორბედის გზას დაადგა.

„თაიმერის“ წყაროს ინფორმაციით, ცქიტიშვილმა, ალავიძის მსგავსად, საკუთარ კომპანიებს, რომელთა რიცხვი 10-ს აჭარბებს, ე.წ. პირდაპირი წესით „მოაგებინა“ მრავალმილიონიანი ტენდერები, რაც „გადაუდებელი აუცილებლობით“ ახსნა. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში კი ჯერაც არ დასრულებულა მაისში ჩატარებული თელავის წყალმომარაგების ტენდერი. საქმე ის არის, რომ ტენდერი კი ჩატარდა, მაგრამ გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება რატომღაც ჭიანურდება. აღსანიშნავია, რომ სწორედ მაისში დაინიშნა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორად ეკა გალდავა.

2018 წლის 23 ივნისს „თაიმერი“ სტატიაში: „ოცნების“ პრემიერმინისტრობისა და პრეზიდენტობის კანდიდატები საერთაშორისო სკანდალში ეხვევიან?!“ წერდა: „თაიმერისათვის“ ცნობილი ხდება გასაიდუმლოებული შეხვედრის შესახებ, რომელიც ინფრასტრუქტურის სამინისტროში აზიის განვითარების ბანკსა და სამინისტროს წარმომადგენლებს შორის შედგა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „საიდუმლო სერობას“ ბანკის წარმომადგენლები და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი, პირველი მოადგილე ირაკლი ქარსელაძე და მოადგილე გიგა კაცია ესწრებოდნენ. „თაიმერის“ წყაროს ინფორმაციით, ქართულმა მხარემ ბანკის წარმომადგენლებს ისეთი მოთხოვნა წაუყენა, სტუმრები „გაღიმებული“ დატოვეს.

მაშინ ამ თემაზე ხელისუფლებამ საუბარი არ ისურვა. ზედმეტ სკანდალებს მოერიდნენ, მაგრამ სკანდალი მაინც აგორდა.

აზიის განვითარების ბანკის ადგილობრივ წარმომადგენლებსა (ქართული მხარე) და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მაღალჩინოსანთა შორის რამდენჯერმე შედგა შეხვედრა, სადაც განიხილავდნენ მარნეულის წყალმომარაგების ტენდერთან დაკავშირებულ საკითხებს, უფრო კონკრეტულად კი ამ შეხვედრებზე წყდებოდა, რომელ კომპანიას მიანიჭონ ტენდერში უპირატესობა. რაოდენ გასაკვირადაც არ უნდა მოეჩვენოს მაია ცქიტიშვილს, ყველა შეხვედრის შესაბამისი დამადასტურებელი ჩანაწერი არსებობს.

„თაიმერის“ წყაროს ინფორმაციით, ამ მოლაპარაკებებსა და გაურკვევლობის პარალელურად, მოხდა ერთი „გადაცდომა“, რამაც აზიის განვითარების ბანკის სათავო ოფისი, პირდაპირი გაგებით, შოკში ჩააგდო!

საქმე ის არის, რომ სატენდეროდ დალუქული დოკუმენტაცია ბანკის სახელით (!) გაიტანეს. რა არის ამ ქმედებაში შოკისმომგვრელი? საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში შექმნილია სატენდერო კომისია, რომელიც განიხილავს ამა თუ იმ ტენდერში მონაწილეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას. დოკუმენტაციის დამუშავების უფლება და, შესაბამისად, დოკუმენტაციასთან წვდომა მხოლოდ ამ კომისიას აქვს. „თაიმერის“ წყაროს ინფორმაციით, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორ ეკატერინე გალდავას უშუალო მოთხოვნით „ჩახსნილ“ იქნა კომისია და, როგორც გვეუბნებიან, ამ დოკუმენტაციას განიხილავს არა კომისია, არამედ ვინმე მალხაზი. ამ მალხაზის გვარს „თაიმერი“ ამ ეტაპზე შეგნებულად არ ასახელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, მამუკა ბახტაძემ ცქიტიშვილის გათავისუფლების გადაწყვეტილება უკვე მიიღო. ახლა მთავარი ივანიშვილის დათანხმებაა.

„ოცნებაში“ მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებს ჯერ არ ადასტურებენ და ეს უფრო საეჭვოა. კვირიკაშვილის გადადგომის დღესაც, საღამომდე, სანამ ის კაცი არ გადადგა, ამტკიცებდნენ, მთავრობის მეთაური არ შეიცვლებაო.

„მიმდინარეობს ნაცქოცური შერკინება ულირსი მოქმედებებისა და ფარული ჩანაწერების დართვით“

ლევან ჩაჩუა: „ამბიციურობა უნდა დავძლიოთ და ტრადიციების მიმდევრები გავერთიანდეთ“

მარიამ მჭედლიშვილი

წინასაარჩევნო კამპანიაში, ფარული ჩანაწერების გარდა, აქტუალური გახდა ფაშიზმი, კანაფის გაშენება, 2008 წლის ომი, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, ექიმების შემოწირულობები. წინასაარჩევნო სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.

ლევან ჩაჩუა:

– ვერ ვხედავ, რომ ეს წინასაარჩევნო კამპანია არსებითად განსხვავდებოდეს იმ კამპანიებისაგან, რომლებიც ადრე ყოფილა. ახლაც ნაცქოცური შერკინებაა, რომელსაც თან ახლავს ულირსი და უზნეო მოქმედებები ფარული ჩანაწერების დართვით. ის ადამიანები, რომლებიც ადრე ერთად იდგნენ, ურცხვად აბეზღებენ ერთმანეთს. ისეთი ბინძური მეთოდებია გამოყენებული, რომ ჩვეულებრივ მოქალაქეს უქრება არჩევანის გაკეთების სურვილი.

– ჩვენს საზოგადოებას კარგა ხანია, არჩევნებში აქტიურობის სურვილი არ ეტყობა.

– „ქართული ოცნების“ შეუსრულებელი დაპირებების შემდეგ ადამიანებს მოლოდინი გაუმტყუნდათ. ამ ულირსი მოქმედებების შემხედვარე, ხალხს იმედი უფრო მეტად ეწურება. ეტყობა, ესეც არის ამ ბინძური კამპანიის მიზანი.

– ვიღაცას არ აწყობს, რომ ხალხი არჩევნებზე მივიდეს?

– რასაკვირველია. რაც ნაკლები მივა, მით უფრო ადვილად დაიდება სასურველი შედეგი. საზოგადოებაში სამართლიანი არჩევნების მოლოდინიც არ არსებობს. ხალხი დარწმუნებულია, რომ პირველი ხუთი ადგილი განაწილებულია. მმართველი პარტია, ნაცმოძრაობა თავის განაყრებიანად ამ ადგილებს გადაინაწილებენ. მეექვსე ან მეათე რომ იქნები, რა ფასი აქვს ასეთ მონაწილეობას? აქედან გამომდინარე, გაუგებარია იმ სუბიექტების პოზიცია, რომლებიც ჩართული არიან მარიონეტების თეატრის საარჩევნო დადგმაში.

– იქნებ, ამ კანდიდატებს სჯერათ, რომ თავის ამომრჩეველს მიიყვანენ საარჩევნო უბანთან და გაყალბება არ მოხდება?

– გაუმართავი საარჩევნო კოდექსი, ხელოვნურად გაბერილი საარჩევნო სიები, არასწორად დაკომპლექტებული ცესკო სამართლიანი არჩევნების ჩატარების საშუალებას არ იძლევა. ვიყავი პრეზიდენტობის კანდიდატი და ეს უსამართლობა ჩემს თავზე გამოვცადე.

უფასო საეთერო დრო მარტო კვალიფიციურ პარტიებს და მათ კანდიდატებს ეძლევათ. ჩვენთან კვალიფიციური, ფაქტობრივად, ქოცები და დროებით გაყოფილი ნაცები არიან. მთელმა ქვეყანამ შეიტყო, რომ ერთი ექიმის საარჩევნო შემოწირულობა ძალიან საეჭვოა. ყოველ შემთხვევაში, ჩაჩავას კლინიკის მედიკოსი, რომელმაც სალომე ზურაბიშვილის ფონდში 20.000 ლარი შეიტანა, ირწმუნება, რომ ხმას მას არ აძლევს. გამოძიებამ უნდა გაარკვიოს, გადაარიცხინეს თუ არა ძალით სოლიდური თანხა ჩაჩავას კლინიკის თანამშრომელს. ამ არჩევნებზე ისეთი განუკითხაობა ჩანს, რომ კონსერვატიული და ეროვნული იდეოლოგიის მიმდევარ კანდიდატებს ვინ გაახარებს!

– ასეთი იდეოლოგიის პარტიები და კანდიდატები ევროპაში სულ უფრო ხშირად მოდიან ხელისუფლებაში.

– ეს ტენდენცია მთელ მსოფლიოში შეინიშნება. ჩვენთან ამის მსგავსი არაფერია. მსოფლიოში ლიბერალური ინტერნაციონალი ნელ-ნელა სუსტდება. ცოტა ხნის წინ, გაეროს ტრიბუნიდან აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა ოჯახის, ტრადიციული და კულტურული ღირებულებების პრიორიტეტულობის შესახებ. ჩვენთან თითქოს საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა ამ ფასეულობების ერთგულია. ამასთან, ასპარეზზე სულ ულტრალიბერალები არიან. ახლაც შევყურებთ ამ მიმდინარეობის ოდიოზურ ძალებს. კონსერვატიული, ეროვნული ძალები გაერთიანებას ვერ ვახერხებთ.

– რატომ?

– შეიძლება, ამის ერთ-ერთი მიზეზი ამბიციურობა იყოს. ყველა დაბრკოლება უნდა გადავლახოთ და გავერთიანდეთ. შესაქმნელია მძლავრი კონსერვატიული პოლიტიკური ცენტრი. თუ ანგარიშგასაწევ ძალად ვიქცევით, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასაც მივაღწევთ.

– საქართველოში საზოგადოების დიდი ნაწილი ტრადიციების მიმდევარია.

– სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები გადაჭარბებულად მეჩვენება. გვარწმუნებენ, რომ კონსერვატიულად განწყობილია მოსახლეობის 80%. მინდა, რომ ასე იყოს, მაგრამ ამაში ეჭვი მეპარება. ამ ციფრებს განგებ ბერავენ, რომ არხეინად ვიყოთ, ყურადღება მოვადუნოთ.

როცა რომელიმე საჭირბოროტო საკითხია გასაპროტესტებელი, მაშინ ეს 80% არსად ჩანს. სამაგიეროდ, როცა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციაზეა საუბარი, ქუჩები ივსება. საზოგადოების თვალწინ ქვეყანა ნელ-ნელა ხდება ნარკო და სექსტურიზმის ადგილი. მგონია, რომ ტრადიციული ღირებულებების მომხრეები ბევრნი აღარ დავრჩით. ამიტომ, უნდა გავერთიანდეთ.

თუ ისევ დავიქსაქსეთ, საქართველო აღარ შეგვრჩება. ქართველების გადინება და უცხოელების მასობრივად შემოსვლა მიგვიყვანს დემოგრაფიული სურათის რადიკალურად შეცვლამდე. სურათი უკვე შეიცვალა. თუ ხელი არ გავანძრიეთ, აქ საქართველო აღარ იქნება და უძველეს ქართულ ენაზე აღარავინ ილაპარაკებს. რადიკალი ლიბერალებისთვის სულ ერთია, ვინ იცხოვრებს საქართველოში, მაგრამ ვისაც ეს გვაღელვებს, ერთად უნდა დავდგეთ.

ლევან სილაგავა: „ქართულ კომპანიებს უფრო მეტად სჭირდებათ სახელმწიფოს ხელშეწყობა“

პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ინიციატივას, რომლის მიხედვითაც უცხოელი ინვესტორებისთვის გარკვეული შეღავათების დაწესება იგეგმება, საქართველოს მწარმოებელთა ფედერაციის ხელმძღვანელი იწონებს. თუმცა, ლევან სილაგავა თვლის, რომ ამით ქართული კომპანიების არასამართლიან გარემოში ჩაყენება მოხდება. მისი თქმით, რაც მეტი უცხოური ინვესტიცია განხორციელდება ქვეყნისთვის კარგია, მაგრამ მაშინ, როდესაც ადგილობრივი წარმოების წახალისებაზეა საუბარი, ქართული კომპანიებისთვისაც მსგავსი შეღავათები უნდა დაწესდეს.

პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ აღნიშნულის შესახებ WSJ Frontiers-თან რამდენიმე დღის წინ განაცხადა. მისი თქმით, საქართველოს ეკონომიკის დივერსიფიკაცია მთავრობის პრიორიტეტია, რათა მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდეს.

პრემიერის თქმით, მსოფლიო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების შემდგომი გაუმჯობესებისთვის, გადასახადების კიდევ უფრო შემცირება იგეგმება.

– ჩვენ ვგეგმავთ არა მხოლოდ კორპორატიული გადასახადების გაუქმებას საქართველოში მომუშავე საერთაშორისო კომპანიებისთვის, არამედ ამ კომპანიებში მომუშავე პირების ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებასაც. რადგანაც საქართველოს ბაზარი მცირეა, ვცდილობთ უფრო ეფექტიან ინტეგრირებას გლობალურ ეკონომიკაში, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

საქართველოს მწარმოებელთა ფედერაციის ხელმძღვანელი ლევან სილაგავა ამბობს, რომ ინიციატივა კარგია, თუმცა გათვალისწინებული უნდა იყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი.

– კერძოდ, ყველა მსგავს გადაწყვეტილებას უნდა მოჰყვებოდეს რეგულაციის გავლენის შეფასება (RIA). სავარაუდოდ, პრემიერის ინიციატივის პლუსები და მინუსები უნდა იყოს გათვლილი. ზოგადად, ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიცია, როგორც სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის, ისე ცნობადობის თვალსაზრისით. როდესაც უცხოელი ინვესტორები ჩვენთან ჩამოდიან, ამას სხვებიც უყურებენ და აფასებენ, ეს მათთვის მაგალითის მიმცემია. ინვესტორი ირჩევს იმ ქვეყნებს, სადაც მისთვის შესაფერი პირობები არსებობს. შესაბამისად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია „ფულიანი“ ადამიანები ჩვენთან ჩამოვიდნენ და ინვესტიციები აქ ჩადონ. თუმცა, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ იმ სპეციალისტებს, რომელიც ჩვენ არ გვყავს, ტექნიკური პერსონალი ან უმაღლესი კატეგორიის მენეჯერები, ინვესტორები თავად ჩამოიყვანენ. ამიტომ, ყველა პირობაში უნდა ჩაიდოს, რომ პირველ რიგში დასაქმდნენ ის სპეციალისტები, რომელიც საქართველოში არიან. ეს პირობა ზოგადად მიღებული პრაქტიკაა და ინვესტორების სხვადასხვა ქვეყანაში შეშვების მოტივაცია სწორედ ესაა, რომ დასაქმება გაიზარდოს, – აცხადებს ლევან სილაგავა.

კითხვაზე, პრემიერის ინიციატივა რამდენად სამართლიან გარემოს შექმნის ქართული კომპანიებისთვის, ლევან სილაგავა პასუხობს, რომ თავისთავად არასამართლიანს და მთავრობას ანალოგიური შეღავათების შემოღებას ადგილობრივი მწარმოებლებისთვისაც ურჩევს.

– თავისთავად ქართულ კომპანიებს უფრო მეტად სჭირდებათ სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა, განსაკუთრებით, ეს ეხება საშუალო და მცირე ბიზნესს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების თემა, რაზეც არაერთხელ განვაცხადეთ, რომ სახელმწიფოს ფული, რომელიც გამოყოფილია 4 მილიარდი ლარის ოდენობით, ადგილობრივი წარმოებისთვის უნდა იყოს. იმათთვის, ვინც კონკურენტუნარიანია ბაზარზე, რათა გარკვეული წახალისება ჰქონდეს. შესაბამისად, კარგი იქნებოდა, რომ მთავრობამ შემდეგი ინიციატივა, მსგავსი განვითარების მიმართულებით, ქართული კომპანიებისთვისაც წარმოადგინოს, – აცხადებს ლევან სილაგავა.

სასოფლო-სამეურნეო მიწის მართვას სპეციალური დეპარტამენტი განახორციელებს

სასოფლო-სამეურნეო მიწის დანიშნულების შესახებ კანონპროექტის ფარგლებში ახალი დეპარტამენტი შეიქმნება, რომელსაც მიწის მართვა დაევალება. ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ პარლამენტის აგრარულ კომიტეტში განუცხადეს. მათივე ინფორმაციით, აღნიშნული ინიციატივის განხილვა ოქტომბერში იგეგმება.

გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს, მიწის როგორც უცხოელებზე გასხვისების, ისე იპოთეკით დატვირთვის წესებს. მისი ავტორი აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელიაა.

– ეს არის კონსტიტუციით განსაზღვრული საკითხი, რომელიც ეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სამართლებრივ რეგულირებას, დაწყებული უცხოელებთან ურთიერთობის თემით, დასრულებული მიწის ყიდვა-გაყიდვით. ეს არის ორგანული კანონი, რომელიც კონსტიტუციამ დაგვავალა და ოთარ დანელია არის ავტორი.

აღნიშნული კანონპროექტი ძალიან ბევრ საკითხს მოიცავს. მათ შორის, შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მიწის მართვის დეპარტამენტი, რომელიც აღრიცხავს მიწის კატეგორიებს, შეადგენს მიწის ბალანსს და შესაბამის საკითხებს დაარეგულირებს, – აცხადებენ აგრარულ კომიტეტში.

რაც შეეხება სხვა საკითხებს, კომიტეტის ინფორმაციით კანონპროექტის მიხედვით, თუ უცხოელი, რომელსაც გააჩნია მუდმივი ცხოვრების ან საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა, მიწას 2 წლის ვადაში არ დაამუშავებს, მისი გაყიდვა მოუწევს. გარდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთისა.

დოკუმენტის თანახმად, უცხოეთის მოქალაქე შესაძლოა, ფლობდეს მიწას თუ მიწა მიიღო მემკვიდრეობით ან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე წარმოეშვა მართლზომიერი მფლობელობის უფლება. ამ უკანასკნელისთვის კი უცხოეთის მოქალაქეს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება დასჭირდება. მან მთავრობას საინვესტიციო გეგმა უნდა წარუდგინოს. თუმცა, თუ გეგმით გათვალისწინებული პირობები არ შესრულდება, უცხოეთის მოქალაქე ვალდებულია, ერთი წლის ვადაში გაასხვისოს მიწის ნაკვეთი.

თუ ვალდებული პირი ვერ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას, მან ვადის გასვლიდან ერთ თვეში უნდა მიმართოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლის თაობაზე. ხოლო, თუ პირი არ ეთანხმება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლის პირობებს, მას მიწა კანონის ფარგლებში ჩამოერთმევა.

გარდა ამისა, ცვლილებები ითვალისწინებს შეზღუდვებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იპოთეკით დატვირთვასთან დაკავშირებითაც. პროექტის მიხედვით, დაუშვებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება უცხოელის, ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირის სასარგებლოდ. ასევე იკრძალება იურიდიული პირის მიერ წილის იმ ოდენობით გაყიდვა, რომლის შედეგადაც წილის 50%-ზე მეტი შესაძლოა, გახდეს უცხოელი ან უცხოური საწარმო.

ამასთან, თუ იურიდიული პირის საკუთრებაშია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და წილის/აქციის/პაის შეძენის ან პარტნიორობის (სპს-ის და კს-ის კომპლემენტარების შემთხვევაში) სურვილს გამოხატავს საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, უნდა დგინდებოდეს ამ უკანასკნელის ან/და მისი პარტნიორი იურიდიული პირის ბენეფიციარი მესაკუთრე.

ბაია პატარაია: „ოჯახში ძალადობის მხრივ პოლიციელების ცოლები ყველაზე დაუცველები არიან“

„ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პოლიცია ბევრად უარესად მუშაობს“

იაგო ნაცვლიშვილი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა მუშაობის 9-თვის ანგარიში წარადგინა, რომელშიც ნათქვამია, რომ 2018 წლის 9 თვეში ოჯახური ძალადობის 4.339 ფაქტზე გამოძიება დაიწყო, 5.472 შემთხვევაში კი შემაკავებელი ორდერი გაიცა. ანგარიშის მიხედვით, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე არასათანადო რეაგირების გამო, დისციპლინური სახდელი დაეკისრა 8 პოლიციელს. ამ პერიოდში ოჯახში ძალადობაში 16 პოლიციელი ამხილეს.

„ახალი თაობა“ ამ თემაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ დირექტორს **ბაია პატარაიას** ესაუბრა:

– შსს ანგარიშში ნათქვამია, რომ მიმდინარე წელს 8 პოლიციელს არასათანადო რეაგირებაზე სახდელი დააკისრეს, როგორია თქვენი შეფასება?

– 8 შემთხვევა არ არის მაღალი ციფრი, პოლიციელების მხრიდან უფრო მაღალია გულგრილობის ფაქტები, რასაც პრაქტიკაში ვაწყდებით ხოლმე. თუმცა, აქამდე საერთოდ არ იყო რეაგირება და, როგორც ჩანს, დაიწყო. გვაქვს შემთხვევები, როდესაც შსს-ს ვუჩივით, რადგან მასთან ვერანაირ რეაგირებას ვერ მივაღწიეთ და მერე სასამართლოს გზით ვცდილობთ ხოლმე სიმართლის დადგენას და კომპენსაციის მოთხოვნას.

ვფიქრობ, თუ კარგად იმუშავებს გენერალური ინსპექციაც და დეპარტამენტიც მეტ ყურადღებას მიაქცევს პოლიციელებს, რომლებიც დაუდევრობას იჩენენ ან სამსახურებრივ გულგრილობას, რაც უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია და ეს უკვე პროკურატურის საქმეა. ვფიქრობ, საჭიროა არის ამ ციფრის გაზრდა. თუ პოლიციელი გაიგებს, რომ ვიღაცა გულგრილობის გამო დაისაჯა და არასათანადოდ შესრულებული სამუშაოსთვის პასუხი მოეთხოვა, მაშინ მეტ გულისხმიერებას გამოიჩენს ოჯახში ძალადობის შემთხვევების დროს.

– რიგ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასაც ითხოვთ პოლიციელების მიმართ?

– კი. გაგახსენებთ მარიკა წივწივაძის საქმეს, რომელიც ილიაუნში მოკლა პარტნიორმა, მას პოლიცია მარტო 4-ჯერ ჰყავდა გამოძახებული და პოლიციაში მისული იყო 6-7-ჯერ. ამის მიუხედავად, პოლიციამ არაფერი გააკეთა და მარტო ხელწერილი დააწერინა მოძალადეს. სამწუხაროდ, დადგა სასიკვდილო შედეგი. მოვითხოვეთ პოლიციელების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, მაგრამ არც კი დაწყებულა გამოძიება და ჩვენ სტრასბურს მივმართეთ.

მეორე შემთხვევა იყო ელენე ბლოგოდარნაიას შემთხვევა. მოქმედმა პოლიციელმა კაცი მოკლა და ქალი მძიმედ დაჭრა. ამ საქმესთან დაკავშირებით 20-25 წუთის განმავლობაში პოლიციელები სახლში იყვნენ და თვალ-ყურს ადევნებდნენ, როგორ იქცეოდა დამნაშავე. არც კი განარიდეს მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიციელი იყო. ვფიქრობთ, რომ ამ პოლიციელების პასუხისმგებლობის საქმეც უნდა დადგეს. ამ შემთხვევაში გამოძიება დაწყებულია, მაგრამ სადამდე მიგვიყვანს, არ ვიცი, შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს.

– ხშირად არის ხოლმე უსასრულო გამოძიებები. ჩვენ, ჟურნალისტებიც, ვერ ვიღებთ კითხვებზე პასუხებს, გვპასუხობენ, რომ მიმდინარეობს გამოძიება.

– გამოძიება უნდა იყოს ეფექტური. გამოძიების დაწყება არაფერს ნიშნავს. სოფელ ლამბალოში ხამილ ჯეირანოვის საქმეზე, რომელსაც მთელმა სოფელმა შეურაცხყოფა მიაყენა და მან თავი მოიკლა, ამ საქმეზე გამოძიება დაიწყო და არავის ბრალი არ წაეყენა. როცა გამოძიება არ არის ეფექტური, ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო თავის პოზიტიურ როლს არღვევს. მთელი სოფლის თვალწინ მოხდა ჩადენილი დანაშაული და გამოძიებამ ვერანაირი შედეგი რომ ვერ დადო, ეს სახელმწიფოს არ ეპატიება. მესმის, არსებობს დანაშაულები რომ ვერ იხსნება, სადაც მოწმე არ არსებობს და ეჭვიც არ არსებობს.

– კვლევაში ასევე აღნიშნულია, რომ მიმდინარე წელს 16 პოლიციელი ამხილეს ოჯახში ძალადობის ფაქტზე. ასეთ ფაქტებზე როგორია თქვენი შეფასება?

– სამწუხაროდ, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები არიან ხოლმე პირები, რომლებიც თვითონ ჩადიან დანაშაულს განსაკუთრებით ოჯახში. აქვთ შეგრძნება, რომ დაუსჯელნი იქნებიან, რადგან მათივე სამსახურმა უნდა გამოიძიოს მათი დანაშაული და ხდება ხოლმე ხელის დაფარება მოძალადეზე. შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, რომ პოლიციელების ცოლები ერთ-ერთი ყველაზე დაუცველები არიან ოჯახში ძალადობის მხრივ.

– ანგარიშიდან ჩანს, რომ პოლიციელების მიმართაც დაიწყო პასუხისმგებლობის დაკისრება. არის ეს პოზიტიური სიგნალი?

– როცა სახელმწიფო მოვალეობას ასრულებს, კარგია. სახელმწიფოს ვალია, ყველა დამნაშავე დასაჯოს, სადაც არ უნდა მუშაობდეს ის, ცხადია, პასუხი უნდა აგოს. ეს იმას ნიშნავს, რომ აქამდე სახელმწიფო ვალდებულებას არ ასრულებს და ახლა მან საკუთარი ვალდებულების შესრულება დაიწყო. ვალდებულების შესრულება კარგია, მაგრამ რაღაც საოცარი გმირობა ეს არ არის.

– კვლევაში აღნიშნულია, რომ 4.339 შემთხვევაზე გამოძიება დაიწყო, ხოლო 5.472 შემთხვევაში შემაკავებელი ორდერი გაიცა. ასევე აღნიშნულია, რომ პოლიციისადმი მიმართვიანობა უწყებისადმი მაღალი ნდობით არის განპირობებული. იზიარებთ ამ შეფასებას?

– მიმართვიანობის გაზრდა განპირობებულია იმით, რომ დანაშაულია ძალიან გავრცელებული. ეს რომ ასე არ იყოს, პოლიციაში ვინ წავა?! სავალალო სწორედ ეს არის. ყველა დანაშაულს უსწრებს ქვეყანაში. ხალხი იგებს, რომ დანაშაულია და უნდა შეატყობინონ პოლიციას. თუ პოლიცია კარგად რეაგირებს, მაშინ მიმართვიანობა იზრდება, ხვდებიან, რომ აზრი აქვს. ადრე ასე არ იყო. ბევრი ადამიანი მიიჩნევდა, რომ მიმართვიანობას აზრი არ ჰქონდა, რადგან არანაირი შედეგი არ მოჰყვა ამას.

– საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებამ და ამ თემაზე დაწყებულმა კამპანიამაც ხომ არ შეუწყო ხელი?

– რა თქმა უნდა. ძალიან დიდი როლი სწორედ ცნობიერების ამაღლებას აქვს. კარგი იქნება თუ ყველა ქულას შსს არ დაიწერს. ამ თემაზე მედია ძალიან სერიოზულად მუშაობს. მედიის როლი ძალიან მნიშვნელოვანია მიმართვიანობაში. ასევე აქტივისტების და სამოქალაქო საზოგადოების როლი, რომლებიც ამ პრობლემებზე მუდმივად საუბრობენ და მას მედია კარგად აშუქებს.

ამ ეტაპზე ნაადრევია საუბარი იმაზე, რომ პოლიციისადმი ნდობა გაიზარდა და ამიტომ მიმართავს მოსახლეობა. ხალხი რომ კმაყოფილი იქნება, ეს მომავალში სხვა გამოკითხვებითაც გამოჩნდება. ახლა ეს არ იზომება. დღევანდელი ბრიფინგი არის ნაბიჯი გადადგმული იქითკენ, ადამიანებმა მეტად დაიჯერონ, რომ პოლიციისადმი მიმართვას შედეგი მოჰყვება.

– ბოლოს გვითხარით, ოჯახში ძალადობის მხრივ მთავარ გამოწვევად რას მიიჩნევთ?

– ვფიქრობ, რომ ადრე, გამოძახებისას პოლიციას უჭირდა გარკვევა, რამდენად საფრთხის შემცველია ესა თუ ის ადამიანი. გვახსოვს შემთხვევები, რომ ადამიანი გამოვიდა პოლიციის განყოფილებიდან, სახლში წავიდა და ვიღაცა მოკლა. სულ ვაკრიტიკებდით, რომ პოლიციელის ინდივიდუალურ განათლებასა და ინტუიციაზე არ უნდა იყოს ეს დამოკიდებული და საჭიროა რისკების შეფასების ინსტრუმენტი. ყველა პოლიციელს უნდა ჰქონდეს კითხვარი, რის შედეგადაც შეაფასებენ რისკებს, უნდა დააკავონ ადამიანი თუ როგორ უნდა მოიქცნენ. ახლა ეს შემუშავებულია, მაგრამ ყველგან არ არის დანერგილი. მნიშვნელოვანია, პოლიციელებმა ისწავლონ მისი გამოყენება. იმედი მაქვს, რახან კითხვარი უკვე შემუშავებულია, პრაქტიკაში განხორციელების პროცესი მალე დაიწყება.

გამოწვევად მიმაჩნია ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პოლიცია ბევრად უარესად მუშაობს, ვიდრე სხვა რეგიონებში. ეს პრობლემა ჯერ ვერ გადაჭრა სახელმწიფომ. იმიტომ, რომ განსხვავებული სისხლის სამართლის პოლიტიკა აქვს უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში და იქ პოლიცია არ აქტიურობს ისე, როგორც სხვა რეგიონებში.

მესამე არის ის, რომ თუ ოჯახური კონფლიქტის დროს ქალი გამოიყენებს რაიმე ტიპის ძალას მოძალადე მეუღლის წინააღმდეგ. არის ასეთი საქმეებიც, როცა დანა ან რაიმე საგანი გამოიყენა. ასეთ დროს არავინ იძიებს წინარე ისტორიას. არ აქცევენ ყურადღებას, რომ ქალი ამ დროს ძალიან იყო ნაცემი და შეიძლება ეს ყოფილიყო აუცილებელი მოგერიებით, თავდაცვის მიზნით.

ჰქონდა თუ არა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს ადგილი, ეს სასამართლომ უნდა დაადგინოს, მაგრამ ხშირად აიგნორებს ამ ფაქტს, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოხდა და ამ ქალს აქვს წლების ისტორია, როგორ იყო მსხვერპლი. ამ მხრივ არანაირი მგრძნობელობა არ აქვს პოლიციას. საერთოდ არ უნდათ ხოლმე გამოძიების დაწყება ქმრის წინააღმდეგ, რომელიც შესაძლოა ამ კონკრეტულ შემთხვევაში თვითონაც დაზარალებული იყოს. ჩვენც ძალიან გვიჭირს ამ თემაზე მუშაობა. რამდენიმე ბენეფიციარი გვყავს, რომლებმაც ითხოვეს საქმის გადაკვალიფიცირება, მაგრამ ან ვერ დავაწყებინეთ გამოძიება პოლიციას, ან დაიწყო, მაგრამ აბსოლუტურად არ ხდება საქმეში და ელოდებიან საქმის დამთავრებას. ეს არ შეიძლება. სიმართლის დასადგენად ორივე მიმართულებით უნდა ხდებოდეს გამოძიება.

ქმარმა ცოლს მობილური თავში ჩაარტყა, დედამთილმა კი აკვნის ჯოხით სცემა

რა მოხდა ხელვაჩაურში

რძლის ცემისთვის ხელვაჩაურში მცხოვრები მ.ფ. 600 ლარით დააჯარიმეს. ამავე საქმეში ცოლის ცემისთვის და თავში მობილური ტელეფონის ორჯერ ჩარტყმისთვის დ.დ.-ს ორი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

დედა-შვილის მიერ ქალის ცემის საქმე ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მოსამართლე დავით გელაშვილმა განიხილა.

– თავს დამნაშავედ არ ვცნობ, მე თავს დამესხნენ და თავს ვიცავდი ჯოხით, – უთხრა მოსამართლეს სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა დედამთილმა.

სასამართლოს მხარეებმა საპირისპირო ჩვენებები მისცეს. დედა-შვილმა მოსამართლეს უთხრა, რომ დანაშაული არ ჩაუდენიათ.

შემთხვევა ზაფხულში, ხელვაჩაურის ერთ-ერთ სოფელში მოხდა. საქმის მასალების მიხედვით, სიტყვიერი შელაპარაკება თავდაპირველად დედამთილსა და ოჯახში სტუმრად მყოფ რძლის დას შორის დაიწყო. აკვანთან მჯდომმა რძალმა საკუთარი დის გაჩუმება სცადა.

დაზარალებული ქალი: „აკვანთან ვიჯექი, ისინი შელაპარაკდნენ... მე ხელით ვუჯიკე ჩემს დას, გაჩერდი-მეთქი, მაგრამ არ გაჩერდა... ამ დროს დივანზე იწვა ჩემი ქმარი, წამოდგა და გაშლილი ხელი სახეში ორჯერ დამარტყა, მობილური ტელეფონიც ორჯერ ჩამარტყა თავში...“

დედამთილი: შევლაპარაკდით და ჩემი რძლის და გამოექანა ჩემკენ, რძალმაც ტელეფონი მესროლა. მე ხან ერთს ვურტყამდი ხელს, ხან – მეორეს, ამიტომაც წავიქეცი, თავი რომ დამეცვა, აკვნიდან ჯოხი გამოვაძრე და ვიგერიებდი, არ დამირტყამს... დაზიანებები რძალმა ალბათ დივანზე წაქცევის დროს მიიღო“.

დაზარალებულის ქმარი: „ჩემი ცოლისდა გაიწია დედაჩემისკენ, რომლის დროსაც დედა ოდნავ შეეხო ხელით, წადი, თავი დამანებეო. დედამ არტახის ჯოხი გამოიღო და იგერიებდა ჩემს ცოლს. მე გაშველების მიზნით მოვხვიე ხელები ორივეს და ერთად წავიქეცით დივანზე სამივე, რა დროსაც მიიღო ალბათ დაზიანება ჩემმა ცოლმა. მე მობილური მისთვის თავში არ ჩამირტყამს. მერე ორივეს მოვკიდე ხელი მაჯაზე და გავუშვი გარეთ...“

დაზარალებული ქალის მამა: „ტელეფონზე დამირეკეს შვილებმა, სახლიდან გამოგვყარეს და ჯოხით გვცემესო...“

მოსამართლე დავით გელაშვილმა დედა-შვილის ჩვენება სარწმუნოდ არ მიიჩნია, რადგან ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ქალს სხეულზე ბლაგვი საგნით მიყენებული დაზიანება ჰქონდა, რასაც დივანზე დაცემის შედეგად ვერ მიიღებდა.

საქმეშია ასევე მობილური ტელეფონი, რომელზეც ასევე შეიმჩნევა დაზიანებები – ეკრანი გაბზარული იყო.

პროკურატურამ დედა-შვილს ოჯახში ძალადობის მუხლით წაუყენა ბრალი, რომლის მიხედვითაც ქალზე ძალადობა არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით მოხდა. მოსამართლემ საქმის განხილვის დროს საქმეს კვალიფიკაცია შეუცვალა და სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა ერთი მუხლის „დ“ და „ე“ გაასამართლა ბრალდებულები. მოსამართლემ მიიჩნია, რომ დანაშაული არასრულწლოვნის თანდასწრებით არ მომხდარა. „დგინდება, რომ ბავშვს ამ დროს ეძინა,“ – ვკითხულობთ განაჩენში.

მოსამართლე დავით გელაშვილის გადაწყვეტილებით დაზარალებული ქალის ქმარს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, რადგან ის მანამდე ასევე ოჯახში ძალადობისთვის იყო გასამართლებული და პირობითი მსჯავრის ქვეშ იმყოფებოდა.

რაც შეეხება დედამთილს, მას მოსამართლემ 250 საათით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა შეუფარდა 600-ლარიან ჯარიმასთან ერთად. თუმცა ჯარიმამ, როგორც უფრო მკაცრმა სასჯელმა, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა შთანთქა. რძლის ცემისთვის გასამართლებულ დედამთილს მხოლოდ 600 ლარის გადახდა მოუწევს ბიუჯეტის სასარგებლოდ.

„ნივთმტკიცება – მობილური ტელეფონი და ხის ჯოხი დაუბრუნდეს მესაკუთრეებს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში“, – ესეც განაჩენშია აღნიშნული.

ბათუმელები

გადაურიცხა თუ არა რუსლან აბაშიძემ სალომე ზურაბიშვილს თანხა პროკურატურაში დაწყებული გამოძიების სანაცვლოდ

როგორც „კომერსანტისთვის“ ექსკლუზიურად გახდა ცნობილი, საგანგებო დავალებათა ყოფილ ელჩსა და მოდელ თაკო ჩხეიძის მეუღლეს რუსლან აბაშიძეს კომპანია Tbilisi Hills Golf & Residences-ის ხელმძღვანელობა ბრალად სდებს დიდი ოდენობით თანხის მითვისებას. ამ ფაქტზე პროკურატურაში გამოძიებაა დაწყებული.

რუსლან აბაშიძის გვარი აქტუალური მას შემდეგ გახდა, როცა გამჟღავნდა, რომ მან სალომე ზურაბიშვილს საარჩევნო კამპანიისთვის 59.958 ლარი გადაურიცხა, მისმა მეუღლემ კი – 6.000 ლარი.

პოლიტიკოსების ვარაუდით, მმართველი პარტიის რჩეული კანდიდატისთვის ამ ოდენობის თანხის გადარიცხვა, სწორედ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს უკავშირდება.

როგორც „კომერსანტმა“ გაარკვია, მიმდინარე წლის აპრილამდე რუსლან აბაშიძე მართლაც გახლდათ ესტონური კომპანიის Tbilisi Hills Golf & Residences-ის დირექტორი. სწორედ ამ პერიოდში დაატოვებინეს თანამდებობა და პარალელურად სამართალდამცავ ორგანოებს მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება მოსთხოვეს.

ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, „კომერსანტი“ დაუკავშირდა თავად რუსლან აბაშიძეს, რომელმაც საუბარი არ ისურვა, მათ შორის არ გვიპასუხა კითხვაზე – უკავშირდება თუ არა სალომე ზურაბიშვილისთვის თანხის გადარიცხვა პროკურატურაში დაწყებულ გამოძიებას. მან ყველა კითხვაზე პასუხის მისაღებად თავის ადვოკატ დიმიტრი გაბუნიასთან გადაგვამისამართა.

დიმიტრი გაბუნია გავრცელებულ ბრალდებებს უარყოფს და ამბობს, რომ ამ საქმეს ზურაბიშვილთან არანირი კავშირი არ აქვს, თუმცა მხარეებს შორის დავის ფაქტს ადასტურებს. მეტიც, მისი თქმით, რუსლან აბაშიძესა და კომპანია Tbilisi Hills Golf & Residences-ს შორის თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო დავაც მიმდინარეობს.

დიმიტრი გაბუნია:

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ამ ფაქტს კავშირი არ აქვს ზურაბიშვილთან, რადგან რუსლან აბაშიძე სამსახურიდან გაათავისუფლეს აპრილის თვეში. პროკურატურიდან ჩვენ ჯერჯერობით არავის დავუბარებივართ. რაც შეეხება სასამართლო დავას, ჩვენ ვითხოვთ კომპენსაციას, ხოლო მეორე მხარე მოითხოვს პრემიის სახით აღებული თანხის უკან დაბრუნებას. ამას გარდა ჩვენ გავასაჩივრეთ ის ფაქტიც, რომ რუსლან აბაშიძე, რომელიც იმ პერიოდში სამსახურებრივ მივლინებაში იყო, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე გაათავისუფლეს. კომპანიას ასევე ვედავებით საკმაოდ სოლიდურ თანხებზე და გვაქვს სამხილები, მტკიცებულებები, რა ფულსაც ატრიალებს „თბილისი ჰილსი“ საქართველოში.

დიმიტრი გაბუნიას მტკიცებით, ზოგადად საინტერესოა თავად ესტონელი ინვესტორის ოლეგ ოსინოვსკის პიროვნებაც, რომლის მიმართ უკვე საფუძვლიანი ეჭვებიც არსებობს.

– ის ლანძღავს საქართველოს ხელისუფლებას ნებართვებს არ მაძლევენო, საინვესტიციო კლიმატი არ არსებობსო და ა.შ. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ თამაშში მარტო არ მოქმედებს და კარგი იქნება თუ პოლიტიკურ საფუძველს არ მისცემს ამ ყველაფერს. ამასთან დაკავშირებით ვაპირებთ სპეციალური ბრიფინგის ჩატარებასაც, – განაცხადა გაბუნიამ.

დეტალების გასარკვევად „კომერსანტი“ უკვე დაუკავშირდა პროკურატურას. პასუხის მიღებისთანავე ინფორმაციას შემოგთავაზებთ.

რუსლან აბაშიძე პროფესიით დიპლომატია. მას ბოლო დეკლარაცია 2014 წელს აქვს შევსებული, რომლის მიხედვითაც ის საგარეო საქმეთა სამინისტროში საგანგებო დავალებათა ელჩად მუშაობდა. მანამდე აბაშიძე ესტონეთში საქართველოს ელჩი იყო.

გაჩერებული კომპანიებიდან, რომლებსაც დავალიანება ჩამოეჭრათ, მხოლოდ 5% ამოძრავდება

2013 წლის პირველი იანვრიდან 2018 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით სახელმწიფომ დავალიანება 65.604 გადამხდელს ჩამოაწერა, ჩამოწერილი დავალიანების ოდენობა კი 3.117.219.960 ლარია. ეს ინფორმაცია „კომერსანტს“ შემოსავლების სამსახურმა მიაწოდა.

რა გავლენას იქონიებს საგადასახადო ამნისტია ქვეყნის ეკონომიკაზე და როგორ აისახება დავალიანების ჩამოწერა ბიზნესსექტორზე. ამ საკითხთან დაკავშირებით „კომერსანტი“ ექსპერტებს გაესაუბრა, რომლებსაც რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. თუმცა, რას ფიქრობს თავად ბიზნესი.

ამ თემაზე „ტექნო ბუმის“ დამფუძნებელი ანზორ ქოქოლაძე აცხადებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან საგადასახადო ვალის ჩამოჭრით გაჩერებულ კომპანიებს შანსი მიეცემათ საქმიანობა განაახლონ, რაც ბიზნესმენის თქმით, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას წაადგება.

– როდესაც ერთი ბიზნესმენი გადასახადებს კეთილსინდისიერად იხდის, მეორე არა შემდეგ კი მას დავალიანება ჩამოწერება, ბუნებრივია, უსამართლობის შეგრძნებას იწვევს. თუმცა, როდესაც აანალიზებ, რომ ხშირ შემთხვევაში საგადასახადო ამნისტია ისეთ კომპანიებს ეხება, რომლებიც წლებია გაჩერებულია უსამართლობის შეგრძნება აღარ გაქვს. ბიუჯეტს ეს თანხები ისედაც დაკარგული ჰქონდა, სახელმწიფო კი დავალიანების ჩამოწერით კომპანიებს გაცოცხლების შანს აძლევს. ჩემი აზრით, ამ კომპანიებიდან მხოლოდ 5 პროცენტი ამოძრავდება, მაგრამ ესეც მისასალმებელია, – აცხადებს ანზორ ქოქოლაძე.

ლიბერთის პენსიონერებისთვის შემუშავებული მასშტაბური სოციალური პროგრამა რეგიონებშიც გრძელდება

„ლიბერთისა“ და „ნიუ ჰოსპიტალსს“ შორის ურთიერთთანამშრომლობით, თბილისის მსგავსად, ქვემო ქართლის რეგიონში მაცხოვრებელი პენსიის მიმღები პირები სამედიცინო სერვისებით, სპეციალურად მათთვის შემუშავებული პირობებით ისარგებლებენ.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ლიბერთის სოციალური ბარათის მფლობელები, 2018 წლის ბოლომდე „ნიუ ჰოსპიტალსში“ თვალის, გულის დაავადებების, შინაგანი ორგანოების და სახსრების კვლევების ჩატარებას ფასდაკლებით შეძლებენ.

დღემდე ამ უპრეცედენტო, ერთობლივი პროგრამით, მხოლოდ თბილისის მასშტაბით, ლიბერთის სოციალური ბარათის 4200-მა მფლობელმა ისარგებლა.

ლიბერთის 90-მდე ფილიალში, კატარაქტისა და გლაუკომის უფასო სკრინინგის შემდგომ, დამატებითი უფასო კვლევა 1500 პაციენტს „ნიუ ჰოსპიტალსში“ ჩაუტარდა. წარმატებით განხორციელდა ოფთალმოლოგიური ოპერაციები და სხვადასხვა კვლევები კარდიოლოგიური, ტრავმატოლოგიური და ინსულტის პრევენციის მიმართულებით.

„2018 წლის სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში აქტიურად ვაგრძელებთ წამოწყებული პროექტების გაუმჯობესებასა და ახალი პროექტების შემუშავებას. ნიუ ჰოსპიტალსთან თანამშრომლობით ჩვენ საშუალება მოგვეცა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ვიზრუნოთ როგორც პენსიონერებზე, ასევე სოციალური ბარათების სხვა მფლობელებზე. ისინი ჩვენგან განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ“ – განაცხადა „ლიბერთი“-ს გენერალური დირექტორის მოადგილემ, ლევან თხელიძემ.

როგორც „ნიუ ჰოსპიტალსის“ დირექტორმა, გიორგი რამიშვილმა განაცხადა, „ნიუ ჰოსპიტალსი“ აქტიურად არის ჩართული „ლიბერთის“ სოციალური ბარათის მფლობელების სკრინინგისა და მკურნალობის პროცესებში. ჰოსპიტალი მზად არის უდიდესი ცოდნა და გამოცდილება მოახმაროს „ლიბერთის“ სოციალურ აქტივობას და კიდევ მრავალ პაციენტს მოემსახუროს აღნიშნული პროექტის ფარგლებში.

ბიძინა ივანიშვილის ფონდი სიღნაღში 4-ვარსკვლავიან სასტუმროს აშენებს

საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდის ფარგლებში სიღნაღში 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო აშენდება, რომელიც საერთაშორისო და ადგილობრივ სტუმრებს შესანიშნავი ხედებით უმასპინძლებს.

130-ნომრიან სასტუმროში თავმოყრილი იქნება სპა და ფიტნეს ცენტრები, ღია და გარე აუზი, ღვინის ბარი, მარანი, მაღალი კლასის რესტორანი, ლაუნჯ ბარი 360 გრადუსიანი ხედით და მასშტაბური საკონფერენციო დარბაზი. აღნიშნული პროექტი 50,000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსდება, ხოლო მისი საერთო სამშენებლო ფართი 14,000 კვ.მ-ია. ამჟამად, სასტუმრო მშენებლობის აქტიურ ფაზაშია და 2020 წლიდან დამსვენებლების გამასპინძლებას შეძლებს. დღეის მდგომარეობით, პროექტის საინვესტიციო მოცულობა 21 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

საქართველოში მნიშვნელოვნად აღინიშნება სწრაფი ტემპით მზარდი ტურისტული ნაკადები, თუმცა ამ ტენდენციის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება და ეს პროექტი სწორედ ამ გამოწვევას პასუხობს. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს, როგორც ტურისტების მოზიდვას, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და კახეთის პოპულარიზაციას, როგორც უძველეს და უნიკალურ მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონს.

შეგახსენებთ, რომ 2016 წლის ოქტომბერში საქართველოს თანაინვესტირების ფონდის ინიციატივით ტურიზმის განვითარებაზე ორიენტირებული საინვესტიციო პროექტებისთვის შეიქმნა საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი, რომლის მიზანია სტრატეგიული მნიშვნელობის ტურისტული პროექტების მხარდაჭერა, ტურისტების მოზიდვა და საქართველოს დამკვიდრება მსოფლიო ტურიზმის რუკაზე.

ამჟამად საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდის საინვესტიციო პორტფელში ათი პროექტი ერთიანდება, რომელთა ჯამური საინვესტიციო მოცულობა 600 მლნ ამერიკულ დოლარს აჭარბებს. პროექტები ვითარდება ქ. თბილისში, კახეთში, გურიაში, აჭარაში, სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთში. ათივე პროექტი განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა და დღეის მდგომარეობით მათში ჯამურად უკვე ინვესტირებულია 218 მლნ აშშ დოლარზე მეტი. ამ მასშტაბური პროექტების ფარგლებში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე ჯამურად დასაქმდება 10,000 ადამიანზე მეტი, ხოლო კომპლექსების ამოქმედების შემდეგ მუდმივად დასაქმებულთა რიცხვი 2,500-ს გაუტოლდება.

კომერსანტი

რამდენი მრჩეველი ჰყავს პრემიერ-მინისტრს?

ზოგიერთი მინისტრის მსგავსად, მრჩევლები ჰყავს პრემიერ-მინისტრსაც. მთავრობის ადმინისტრაციიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, მამუკა ბახტაძეს 3 მრჩეველი ჰყავს.

მინისტრების მრჩევლების შესახებ „ბიზნესპრესნიუსი“ რამდენიმე დღის წინ წერდა. როგორც აღმოჩნდა, მინისტრების უმრავლესობას აღნიშნული შტატი გაუქმებული აქვს. მრჩევლები ჰყავთ ეკონომიკის მინისტრს გიორგი ქობულიას (1 მრჩეველი), ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს ლევან დავითაშვილს (3 მრჩეველი).

ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მრჩევლებს სახელი გადაერქვა და კონსულტანტი ეწოდა. ხოლო დანარჩენ მინისტრებს მრჩევლები აღარ ჰყავთ.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრს, მისი მრჩევლების შესახებ ინფორმაციის მისაღებად „ბიზნესპრესნიუსმა“ მთავრობის ადმინისტრაციას ოფიციალურად მიმართა. წერილის საპასუხოდ, უწყებაში განმარტავენ, რომ მამუკა ბახტაძეს 3 მრჩეველი ჰყავს: 1. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებში; 2. განათლების საკითხებში; 2. რეგიონულ საკითხებში.

„ბიზნესპრესნიუსი“ ჯერ ისევ ელოდება შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩევლების შესახებ ინფორმაციას, რომელსაც მიღებისთანავე შემოგთავაზებთ.

ირაკლი სესიაშვილი: „ყველა უწყების უსაფრთხოების სამსახურების წარმომადგენლების ხელფასები თანაბარი უნდა იყოს“

უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილის მოთხოვნით ყველა უწყების სამხედრო, უსაფრთხოების სამსახურების წარმომადგენლების ხელფასები უნდა გათანაბრდეს. ამის შესახებ სესიაშვილმა ჟურნალისტებს კომიტეტის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, სადაც 2019 წლის ბიუჯეტის პროექტს განიხილავდნენ.

– მე და კომიტეტის წევრები მხარს ვუჭერთ იმ პოზიციას, რომ ყოველწლიურად უსაფრთხოებასთან მიმართებაში ბიუჯეტების ზრდა იყოს, მათ შორის ეს იყოს ასახული ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდასთან, ასევე შრომის ანაზღაურებასთან და შესაძლებლობების გაზრდასთან მიმართებაში. ჩვენ მივესალმებით იმ ფაქტს, რომ შსს-მ, სუს-მა, სახანძრო სამსახურებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ყველაზე დაბალი რანგის შესაბამისი მოსამსახურეების ხელფასები 250 ლარით გაიზარდოს. მაგრამ ჩვენ დავაყენეთ საკითხი ფინანსთა სამინისტროსთან, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული თანაბრობა ყველა იმ პირთა მიმართებაში, რომელიც საერთო ოჯახის, საერთო თავდაცვის, უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია და ემსახურება ამ სისტემას. თუ თქვენ გადახედავთ დაბალი რანგის თავდაცვის, უსაფრთხოების პერსონალის ხელფასებს, დღესდღეობით ყველაზე ნორმალური ანაზღაურება აქვს თავდაცვის სამინისტროს პირად შემადგენლობას, თუმცა, ჩვენთვის ეს დამაკმაყოფილებელი არაა, ჩვენ სურვილი გვაქვს მას გაუთანაბრდეს ყველა შესაბამისი უწყების, პირველ რიგში თუ უსაფრთხოების სამსახურების წარმომადგენლების ხელფასები, მათ შორის დაცული იყოს მეტ-ნაკლები თანაბრობა და ისე არ აღმოჩნდეს, რომ შს სამინისტრომ გაუზარდოს და არ გაუზარდოს დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს. ამიტომ, აქ ჩვენ პრინციპებზეც უნდა შევთანხმდეთ, ჩვენი ქვეყნის ინტერესები, მშვიდობა და უსაფრთხოება მოითხოვს იმას, რომ თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით კომიტეტმა დააყენოს საკითხები, რომ ბიუჯეტები გაიზარდოს, – აღნიშნა ირაკლი სესიაშვილმა.

აუდიტის სამსახური ექიმების მიერ სალომე ზურაბიშვილისთვის ფულის გადარიცხვაზე მოკვლევას იწყებს

ექიმების მიერ სალომე ზურაბიშვილის დაფინანსების მოკვლევას აუდიტის სამსახური იწყებს.

იგეგმება ჩაჩავასა და ღუდუშაურის კლინიკების ექიმების გამოკითხვა.

პარალელურად აუდიტორები სასამართლოს შემომწირველების საბანკო გადარიცხვებისა და შემოსავლების დაინტერესების თხოვნით მიმართავენ.

სამოქალაქო სექტორმა ექიმების მიერ გადარიცხული 200 ათასი ლარის წარმომავლობის გარკვევა აუდიტორებისგან მას შემდეგ მოითხოვა, რაც ჩაჩავას კლინიკის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ნიკოლოზ კინტრაიამ 20 ათასი ლარის გადარიცხვის შემდეგ ფეისბუქში დაწერა, რომ ის სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერი არ არის.

არასამთავრობოებს ეჭვი აქვთ, რომ ექიმებს კანდიდატისთვის ათობით ათასი ლარის შეწირვა აიძულეს.

– გავრცელებული ინფორმაცია აჩენს ეჭვებს, რომ არაპირდაპირ, შესაძლებელია, მესამე პირების გამოყენებით მოხდა შემოწირულობის განხორციელება, რაც კანონმდებლობით იკრძალება.

ამ შემთხვევაში აუდიტის სამსახურს ეკისრება ვალდებულება, რომ შეისწავლოს კონკრეტული ფაქტები და დაადგინოს, ხომ არ მოხდა ამ პირების გამოყენება და ისე შემოწირულობის განხორციელება, რაც კანონმდებლობით იკრძალება, – განაცხადა „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელმა თათია ქინქლაძემ.

ლევან აღდგომელაშვილი: „ომეგა ჯგუფის“ საქმეზე გავრცელებული ფარული ჩანაწერები ავთენტურია“

„ომეგა ჯგუფის“ საქმეზე გავრცელებული ფარული ჩანაწერები ავთენტურია. კომპანიის წარმომადგენლებმა ჩანაწერებზე დანიშნული ექსპერტიზის დასკვნა გაასაჯაროვეს, რომელიც „ომეგას“ დაკვეთით ერთ-ერთმა წამყვანმა ბრიტანულმა ბიურომ ჩაატარა.

ლევან აღდგომელაშვილის განცხადებით, ექსპერტიზა ჩატარდა ორ ჩანაწერზე.

პირველი არის „თბილისის თამბაქოს“ მეწილის ირაკლი ჩუბინიშვილისა და „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებლის ზაზა ოქუაშვილის საუბარი, სადაც ირაკლი ჩუბინიშვილი ყვება ადგილობრივი და შემოტანილი სიგარეტის თითო რეალიზებული კოლოფიდან პარტიისთვის გადახდილ 2.5 თეთრზე და 2017 წლის წინასაარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნებისთვის“ გადახდილ შავ ფულზე.

რაც შეეხება მეორე ჩანაწერს, აღდგომელაშვილის განცხადებით, ის ასახავს ასევე ირაკლი ჩუბინიშვილისა და ზაზა ოქუაშვილის საუბარს, სადაც ჩუბინიშვილი უყვება მას, რომ ბიძინა ივანიშვილთან ვანო ჩხარტიშვილის შეხვედრის შემდეგ, „თბილისის თამბაქოს“ 26 მილიონი ლარის საგადასახადო ვალდებულება მოეხსნა.

– პირველ ფაილზე გაკეთებული დასკვნით, რომ აუდიოფაილის თითოეული ეპიზოდი უწყვეტი ჩაწერის შედეგად პირველწყაროდანაა აღებული, რომ საკვლევი აუდიოფაილის თანმიმდევრობა დარღვეული არ არის და ეპიზოდების გადაბმის ადგილებში სიტყვები არ წყდება, ცალსახად დგინდება ხსენებული აუდიოჩანაწერის ავთენტურობა.

მეორე ჩანაწერზე დასტურდება, რომ ეს ჩანაწერიც ეკუთვნის მხოლოდ ერთ საუბარს, რომლის ჩაწერაც ერთ მოწყობილობაზე უწყვეტად მიმდინარეობდა და საკვლევი აუდიოჩანაწერი არის ავთენტური, – აცხადებს აღდგომელაშვილი.

რუსთავი 2

ვანო ჩხარტიშვილი რუსთავი 2-ისა და „იბერიის“ წინააღმდეგ

ბიზნესმენი ლონდონის სასამართლოს მიმართავს

ვანო ჩხარტიშვილი ტელეკომპანიების „იბერიისა“ და რუსთავი 2-ის წინააღმდეგ სასამართლო დავას იწყებს.

როგორც ადვოკატმა ზაზა ხატიაშვილმა განაცხადა, „რუსთავი 2-ისა და „იბერიის“ ეთერში გასულმა აუდიოჩანაწერებმა, რომლებიც „ომეგა ჯგუფის“ სკანდალურ საქმეს ეხებოდა, შელახა ვანო ჩხარტიშვილის პატივი და ღირსება“.

– კიდევ ერთი ბრიტანული საექსპერტო კომპანიის დასკვნის მიხედვით, „ომეგა ჯგუფის“ საქმეზე ვანო ჩხარტიშვილის აუდიოჩანაწერი დამონტაჟებულია, – თქვა ადვოკატმა, თუმცა დასკვნაში ექსპერტი განმარტავს, რომ მას არ აქვს ორიგინალი ჩანაწერი და იმ შემთხვევაში, თუ სრულ ფაილებს ნახავს, შესაძლოა დასკვნა შეცვალოს.

დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ სიუჟეტების მომზადებისას აუდიოფაილმა განიცადა მთლიანობის მონტაჟი გარკვეული ზომით, რაც შესაძლოა განიმარტოს სიუჟეტზე მომუშავე ჯგუფის შემოქმედებითი თავისუფლებით.

ზაზა ხატიაშვილმა გუშინ, 9 ოქტომბერს, ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების საელჩოებს მიმართა და მოუწოდა, ის პოლიტიკოსები, რომლებიც მათ მიერ ჩატარებულ ექსპერტიზებს ეჭვქვეშ დააყენებენ, არ შეუშვან ქვეყნის საზღვარზე.

ანგელა ვასილენკო: „საქართველოში დევნიან მსოფლიო მნიშვნელობის მომღერალს, მის საქველმოქმედო ფონდსა და ოჯახს“

„საქართველოს პროკურატურა ჩემი და ჩემი ოჯახის დისკრედიტაციას ახდენს“, – ამის შესახებ პაატა ბურჭულაძის მეუღლის ანგელა ვასილენკოს განცხადებაშია ნათქვამი.

როგორც ანგელა ვასილენკო აცხადებს, დღეს საქართველოს მთავარი პროკურატურა პაატა ბურჭულაძის და „იავნანას“ დისკრედიტაციის ხელშეწყობით არის დაკავებული.

ვასილენკოს თქმით, ის ყველა უცხოელ მეგობარს და გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციას შეატყობინებს, თუ როგორ დევნიან საქართველოში მსოფლიო მნიშვნელობის მომღერალს, მის მიერ დაარსებულ საქველმოქმედო ფონდს და მის ოჯახს.

„მინდა ყველამ იცოდეს, რომ მე და ჩემი ოჯახი მთელი ცხოვრება ვიამაყებთ ფონდ „იავნანას“ საქმიანობით. 14 წლის მანძილზე დავეხმარეთ ათასობით სოციალურად დაუცველ ბავშვს თუ ოჯახს, ნიჭიერ სტუდენტებს, საქართველოში მოვიწვიეთ მსოფლიოს უდიდესი არტისტები. ვეძებდით სპონსორებს საზღვარგარეთ, ჩვენი ოჯახის შეძლებულ მეგობრებს ვუამბობდით კონკრეტული ოჯახების სატკივარს და ვთხოვდით, დახმარებოდნენ მათ.

ქართველ ხალხთან ერთად 6 მილიონის ქველმოქმედება შევძელით, სრულიად უანგაროდ ჩამოვიყვანეთ არტისტები, რომელთა ჰონორარები რიგ შემთხვევაში მილიონს სცდება. და სხვათაშორის, ჩვენს მგზავრობაში არასოდეს დახარჯულა მოქალაქეების მიერ შემოწირული ან სახელმწიფო თანხა, ეს სახსრებიც ჩვენ მიერ იყო მოძიებული ყოველი კონკრეტული პროექტის ფარგლებში.

დღეს საქართველოს მთავარი პროკურატურა პაატა ბურჭულაძის და „იავნანას“ დისკრედიტაციის ხელშეწყობით არის დაკავებული. ვიღაცას არ მოსწონს მისი ავტორიტეტი და მედიას და სამართალდამცავ ორგანოებს, როგორც ჩანს, „შავ პიარს“ ავალებს ჩვენ წინააღმდეგ.

მოვუსმინე პროკურორ ამირან გულუაშვილის 8 ოქტომბრის განცხადებებს და გაოგნებული ვარ მისი უტიფარი სიცრუით. იგი ამჯერად ჩემი დისკრედიტაციის აშკარა მცდელობით არის დაკავებული, თითქოს თავს ვარიდებდი საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, არადა, პროკურატურამ თავად თქვა უარი 2018 წლის 1 მარტს ჩემს გამოკითხვაზე და ეს განცხადება საჯაროდ გაავრცელა, მას შემდეგ 8 თვის განმავლობაში არავინ გამოჩენილა. პროკურორის განცხადებები არღვევს ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციას, ალბათ მას ავიწყდება, რომ გერმანიის მოქალაქე ვარ, ქვეყნის, სადაც ადამიანის უფლებები უზენაესია.

ჩვენს ყველა უცხოელ მეგობარსა და გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციას შევატყობინებ, თუ როგორ დევნიან საქართველოში მსოფლიო მნიშვნელობის მომღერალს, მის მიერ დაარსებულ საქველმოქმედო ფონდსა და მის ოჯახს. სიმართლე ყოველთვის გაიმარჯვებს და აუცილებლად დაისჯებიან ისინი, ვინც ამ უგუნურ ბოროტებას ჩადიან“, – აცხადებს ანგელა ვასილენკო.

ძარცვასა და გაუპატიურების მცდელობაში ბრალდებულს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ძარცვასა და გაუპატიურების მცდელობაში ბრალდებული ე.კ. დამნაშავედ ცნო. სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 2 იანვარს ღამის საათებში, განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევმა ე.კ-მ ქ.თბილისში თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით თ.ხ. წააცია და მისი გაუპატიურება ცადა. დაზარალებულის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შედეგად ე.კ.-მ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, რის შემდეგაც თ.ხ.-ს ჩანთა გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ე.კ 4 იანვარს ქ.თბილისში დააკავეს.

მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით, არაერთგზის), 19-137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (გაუპატიურების მცდელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ე.კ დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა

ჩხოროწყუში ხანძარს 1 ადამიანი ემსხვერპლა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ხანძრის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ცნობით, შემთხვევა სოფელ კირცხში მოხდა. ცეცხლი სახლში გაჩნდა, სადაც 80 წლის კაცი იმყოფებოდა. მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ხანძრის გამომწვევი მიზეზი უცნობია.

რუსთავში მამამ ქალიშვილს უკბინა

რუსთავში, ფალიაშვილის ქუჩაზე, საპატრულო და კრიმინალური პოლიცია იყო მობილიზებული.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ადგილზე პატრული 20 წლის გოგონამ გამოიძახა, რომელიც აცხადებდა, რომ მასზე 55 წლის მამამ იძალადა.

გავრცელებული ინფორმაციით, მამა-შვილს შორის საუბარი კამათში გადაიზარდა, რა დროსაც მამამ შვილს ხელზე უკბინა.

20 წლის გოგონა პოლიციამ გამოკითხა.

შსს-ში „ინფო რუსთავს“ განუცხადეს, რომ „ფაქტზე გამოძიება 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ოჯახში ძალადობას გულისხმობს. დაკავებულია მამა“.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

ნათელა სამუშია: თმა საშინლად მცვიოდა. გამოვიყენე ლამარა თოდუას თმის სავლებები. ერთ თვეში კარგი შედეგი მომცა. მკურნალობას აუცილებლად გავაგრძელებ.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ტრამპი როზენსტაინს არ გადააყენებს

აშშ-ის პრეზიდეტმა დონალდ ტრამპმა უარყო მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გენერალური პროკურორის მოადგილე როზენსტაინის გადაყენებას აპირებს.

– ასეთი რამ გულშიც არ გამივლია, – თქვა ტრამპმა.

როზენსტაინი ხელმძღვანელობს გამოძიებას, რომელიც რუსეთის მიერ ამერიკულ არჩევნებში ჩერევის საკითხს სწავლობს.

მაიკ პომპეო ჩინეთში ჩავიდა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო პეკინში ჩავიდა. ის ჩინეთის კომუნისტური პარტიის საგარეო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე იან ცზეჩის, აგრეთვე ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ვან ი-ს შეხვდა.

მოლაპარაკებების ძირითადი თემა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღება იყო.

ჩინელებმა გამოთქვეს მზადყოფნა, გაგრძელდეს ჩრდილოეთ კორეაზე ზეწოლა, რათა დენუკლეარიზაციის პროცესი ბოლომდე მივიდეს.

განხილულ იქნა აშშ-ჩინეთის ორმხრივი ურთიერთობების საკითხებიც.

მაკედონიის ყოფილ შს მინისტრს მერსედესის შეძენის საქმეზე 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

მაკედონიის სასამართლომ ქვეყნის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი გორდანა იანკულოვსკა მერსედესის მარკის ავტომობილის ყიდვისას სამსახურებრივი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენებაში დამნაშავედ ცნო და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საუბარია 2012 წელს 600 ათას ევროდ პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციისთვის მერსედეს S600 გუარდის ტიპის დაჯავშნული ავტომობილის შეძენაზე.

სასამართლოს აზრით, შსს-მ ავტომობილი ისეთი ტენდერის გზით შეიძინა, რომლის პირობებიც მხოლოდ ერთი მიმწოდებლისთვის იყო ხელსაყრელი.

აღსანიშნავია, რომ გორდანა იანკულოვსკას წინააღმდეგ სისხლის სამართლის კიდევ ორი საქმეა აღძრული, რომლებიც არჩევნების დროს არსებულ დარღვევებს, მიყურადების მოწყობილობების უკანონო განადგურებას და 5.000-მდე აბონენტის უკანონო მიყურადებას ეხება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

უკრაინაში ნატოს სამხედრო სწავლება დაიწყო

ჩერნიგოვთან სამხედრო საწყობი აფეთქდა

უკრაინაში დაიწყო უკრაინა-ნატოს სამხედრო სწავლება „სუფთა ცა“. მასში 700-მდე სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას.

უკრაინული არმიის გარდა, სწავლებაში მონაწილეობენ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ბელგიის, პოლონეთის, რუმინეთის შეიარაღებული ძალები.

უკრაინული, პოლონური და რუმინული სამხედრო თვითმფრინავები ამ მასშტაბის სწავლებაში პირველად მონაწილეობენ ერთად.

სამხედრო სწავლების დაწყებას ფრიად უსიამოვნო მოვლენა დაემთხვა. სოფელ იჩნიასთან (ჩერნიგოვის მახლობლად) უკრაინული არმიის სამხედრო საწყობი აფეთქდა. გადაიკეტა რკინიგზა. ევაკუირებულია 10.000 ადამიანი.

ვისთან საომრად ემზადება ლუკაშენკო?!

პუტინის ყოფილმა თანაშემწე ილარიონოვმა განაცხადა, რომ შესაძლოა რუსეთმა ბელორუსის ანექსია მოისურვოს.

ილარიონოვის აზრით, პუტინს სურს რეიტინგის გაზრდა. ამის ერთ-ერთ ვარიანტად ბელორუსის ანექსია განიხილება.

ამ განცხადებამ ბელორუსის პრეზიდენტი შეაშფოთა.

ლუკაშენკო ბრესტის მახლობლად განთავსებულ სამხედრო პოლიგონს ესტუმრა. ჟურნალისტებთან საუბრისას მან განაცხადა, რომ ომის შემთხვევაში მოსახლეობას მასობრივად დაურიგებს იარაღს.

– 7 მილიონ ადამიანს შევიარაღებთ, – თქვა ალექსანდრე გრიგორიევიჩმა.

ამავე დროს, ლუკაშენკო რუსეთის დადანაშაულებას მოერიდა. მან თქვა, რომ დიდი სამამულო ომის დროს ბელორუსმა დასავლეთიდან დარტყმა ერთ-ერთმა პირველმა იწვნია.

– ბრესტის ციხე-სიმაგრე მაშინ მაგრად დადგა! ასე იქნება ახლაც, – ამბობს ლუკაშენკო.

იანუკოვიჩი პუტინს ჯარის შემოყვანას სთხოვდა

უკრაინის ხელისუფლებამ გაასაჯაროვა დოკუმენტი, სადაც იანუკოვიჩი რუსეთის პრეზიდენტს უკრაინაში ჯარის შემოყვანას სთხოვდა. საუბარია გამოსვლებზე, რომლებმაც ღირსების რევოლუციის დროს მთელი უკრაინა მოიცვა.

იანუკოვიჩი რუსეთსა და უკრაინას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას იშველიებს და პუტინს ე.წ. სამშვიდობო ჯარების შემოყვანას სთხოვს.

– კონსტიტუციური წესრიგის აღდგენისთვის ეს აუცილებელია, – წერს იანუკოვიჩი.

ამრიგად, ჭორებს ბოლო მოეღო. ახლა დოკუმენტურადაა დადასტურებული, რომ იანუკოვიჩი პუტინს ჯარის შემოყვანას სთხოვდა. რაკი უკრაინული არმია ხალხის მხარეს გადავიდა, ვიქტორ ფიოდოროვიჩის ერთადერთი ხსნა რუსეთი იყო. უკრაინელმა ხალხმა მოღალატე პრეზიდენტი ქვეყნიდან გააძევა. პუტინმა ეს სილის გაწვნად აღიქვა. ამას მოჰყვა ყირიმის ანექსია, ე.წ. „ნოვოროსიის“ შექმნის მცდელობა და დონბასის ომი.

პუტინის რეიტინგი კიდევ 9 პუნქტით დაეცა

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის რეიტინგი ვარდნას განაგრძობს. თანახმად ლევადა-ცენტრის ინფორმაციისა, ის კიდევ 9 პუნქტით დაეცა. დღეისთვის პუტინს მხარს მხოლოდ 39% უჭერს.

ექსპერტების აზრით, პუტინის პოპულარობის დაცემა უკრაინასა და სირიაში გაჭიანურებულმა ომებმა, აგრეთვე დასავლეთის სანქციების შედეგად გაუარესებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ განაპირობა. ყველაფერი კი საპენსიო რეფორმამ დააგვირგვინა.

– პუტინი უბრალოდ იძულებული იყო, საპენსიო რეფორმისთვის ხელი მოეწერა. მას სხვა გამოსავალი ელემენტარულად აღარ დარჩა, – თვლის კონსტანტინე ზატულინი.

გაეროში ამერიკის ელჩმა ნიკი ჰეილიმ თანამდებობა დატოვა

გაეროში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ნიკი ჰეილიმ თანამდებობა დატოვა.

გადაწყვეტილების შესახებ ჰეილიმ დონალდ ტრამპს თეთრ სახლში შეხვედრის დროს აცნობა. ტრამპმა ტვიტერზე ჰეილისთან შეხვედრის შესახებ დაწერა და მას მეგობარი უწოდა.

რა გახდა პოსტიდან წასვლის მიზეზი, ამ ეტაპზე უცნობია.

ნიკი ჰეილი გაეროში აშშ-ის წარმომადგენლად დანიშვნამდე სამხრეთ კაროლინის გუბერნატორი იყო.

რუსეთის ნაკრების ფეხბურთელებმა სამინისტროს ჩინოვნიკებს სცემეს

რუსეთის ნაკრები ფეხბურთში სპორტული მიღწევებით ვერ დაიკვეხნის. სამაგიეროდ, მისი წევრები სკანდალებში სისტემატურად ეხვევიან. ასე მოხდა ახლაც, როცა რუსეთის ნაკრების წევრები კოკორინი და მამაევი გოგონებთან ერთად მოსკოვის ერთ-ერთ კაფეში მივიდნენ.

ფეხბურთელები, ისევე, როგორც მათი მეგობარი გოგონები, ნასვამები იყვნენ. შექეიფიანებული კომპანია სუფრას მიუჯდა. ნასვამ კოკორინს ბოთლებისა და თეფშების სროლა მოუნდა. ერთ-ერთი ნასროლი ბოთლი მეზობელ მაგიდასთან დავარდა. იქ რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ჩინოვნიკები პაკი და გაისინი ისხდნენ. პაკის შენიშვნაზე, წყნარად იყავითო, კოკორინი წამოხტა, პაკთან მიიჭრა და სახეში გაარტყა. პაკი ვალში არ დარჩა და ხურდა დაუბრუნა.

მაშინ კოკორინმა სკამს ხელი წამოავლო და პაკს თავში ჩაარტყა.

პაკი დაეცა. გაისინი თავის კოლეგას მიეშველა. მან კოკორინს ყბაში მუშტი ღეწა და ძირს დასცა. მამაევი მეგობრის დასახმარებლად მიიჭრა. მასა და გაისინს შორის მუშტი-კრივი გამართა, რის შედეგადაც გაისინს თვალი ჩაულურჯდა, ცხვირიდან კი სისხლი წამოუვიდა.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბასილაშვილი ჩინეთში ისევ იგებს

პეკინში გამართულ ჩინეთის ღია პირველობაზე გამარჯვებისა და სეზონში მეორე ტიტულის მოგების შემდეგ, ნიკოლოზ ბასილაშვილმა შანხაის მასტერსიც გამარჯვებით დაიწყო.

შანხაის ტურნირზე მონაწილეობას მსოფლიო რეიტინგის პირველი ათეულის თითქმის ყველა წევრი იღებს. პირველ ნომრად როჯერ ფედერერია განთესილი, ხოლო ნოვაკ ჯოკოვიჩი მეორე ნომერია.

შანხაის ტურნირის მოგება 1.000 სარეიტინგო ქულად ფასობს. ფინალისტი 600 ქულას მოიპოვებს, ნახევარფინალისტი – 360-ს, ხოლო მეოთხედფინალისტი – 180-ს.

ბასილაშვილმა, რომელიც პეკინის ტურნირის მოგების შემდეგ მსოფლიო რეიტინგში 23-ე პოზიციაზე აღზევდა, შანხაის ტურნირი მარტივი მოგებით დაიწყო. ჩვენებურმა მსოფლიოს 29-ე ჩოგანი, კანადელი ევგენი შაპოვალოვი 58 წუთში, 6:2; 6:2 დაამარცხა და მეორე წრეში რეიტინგში მე-5 პოზიციაზე მყოფ გერმანელ ალექსანდერ ზვერევს დაუპირისპირდება.

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები სრულად შეიკრიბა

ერთა ლიგის გათამაშებაზე საქართველოს ნაკრები ანდორას 13 ოქტომბერს თბილისში დაუპირისპირდება. მეოთხე ტურის თამაშს ქართველი ფეხბურთელები 16 ოქტომბერს, ლატვიის წინააღმდეგ სტუმრად, რიგაში გამართავენ.

საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა უეფას ერთა ლიგის უახლოესი ორი მატჩისთვის მზადება რომ დაიწყო, ვწერდით.

თავდაპირველად ვლადიმირ ვაისის ხელმძღვანელობით, ეროვნული გუნდი 15-კაციანი შემადგენლობით შეიკრიბა. ფეხბურთელები, რომლებმაც კლუბებში კვირას გამართეს შეხვედრები, საწვრთნელ პროცესში გუშინ ჩაერთნენ.

ვარჯიშის დასრულების შემდეგ ეროვნული გუნდის ფეხბურთელებმა მომავალი მატჩების შესახებ კომენტარი გააკეთეს.

ნიკა კვეკვესკირი:

– ერთა ლიგაზე ჩვენი გუნდის პირველი ნაბიჯები ნამდვილად წარმატებული გამოდგა. მაქსიმუმს მივაღწიეთ, 2 მატჩში 6 ქულა ავიღეთ და გოლი არ გავუშვით. ჩემი აზრით, ნაკრები გაიზარდა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ისწავლა იმ თამაშების მოგება, რომელშიც ფავორიტად ითვლება. ქართველი გულშემატკივარი ერთა ლიგის ყველა თამაშში გამარჯვებას ითხოვს, მით უმეტეს, ისეთი დებიუტის შემდეგ, როგორიც ჩვენ გვქონდა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე ყველა მოტივირებული ვართ,

ვაკო გვილია:

– ყველამ კარგად ვიცით, როგორ უყვართ ფეხბურთი საქართველოში, გულშემატკივრის ტრიბუნაზე დაბრუნება და სიყვარული ყველაზე მნიშვნელოვანია. გუნდი ამას გრძნობს და ჩვენ სწორედ ამისთვის ვთამაშობთ. რა თქმა უნდა, შემდეგი მატჩები როგორც ჩვენთვის, ისე ხალხისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია. ერთა ლიგა კარგად დავიწყეთ, მაგრამ ამან არ უნდა მოგვადუნოს, პირიქით, მეტი პასუხისმგებლობითა და კონცენტრაციით უნდა მოვეკიდოთ მომავალ შეხვედრებს.

ოთარ კაკაბაძე:

– წინ გადამწყვეტი 2 თამაში გველის. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, გუნდი თვითდაჯერებულია და ეს გასულ თამაშებში ნაჩვენები კარგი შედეგითაა გამოწვეული. ვთვლი, რომ იმ ქართველ გულშემატკივართან ერთად, რომელიც მრავლად იქნება სტადიონზე, შევძლებთ გამარჯვებას.

ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე ისევ უმედლოდ ვართ

ბუენოს აირესში მიმდინარე ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე ჩოგბურთელ გოგონათა ტურნირში პირველ წრეში ანა მაქაცარიას მეტოქე იყო ლიხტენშტაინელი სილვია ზანდი. პირველი სეტი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და თითქმის ერთი საათი გაგრძელდა. მაქაცარიამ ბოლო 2 გეიმი დათმო და სეტში ანგარიშით 5:7 დამარცხდა. მეორე სეტში ანა შეეცადა ვითარების შეცვლას, თამაშში აქტიურად ჩაერთო, მაგრამ მატჩის მიწურულს კვლავ მოადუნა ყურადღება და მას შემდეგ, რაც ანგარიში 3:3 იყო, ზედიზედ 3 გეიმი წააგო და შეჯიბრებას პირველივე წრეში გამოეთიშა.

მაქაცარიას კიდევ ერთი ოლიმპიური სტარტი აქვს, ამჯერად – შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში. აქ მისი პარტნიორი იქნება არუბელი პატრიკ სიდოუ.

მაქაცარიას გარდა, სასტარტო მატჩში ჩვენი კალთბურთელები სლოვენიას დაუპირისპირდებიან, შემდეგ კი იორდანიასთან ითამაშებენ. სამკაცა კალათბურთის ოლიმპიურ ტურნირში მოასპარეზე 20 ნაკრები 4 ხუთგუნდიან ჯგუფში გადანაწილდა. წრიული სისტემით გამოვლინდებიან ჯგუფის პირველი და მეორეადგილოსნები, რომლებიც უკვე ოლიმპიური სისტემით გააგრძელებენ მედლებისთვის ბრძოლას. გარდა სლოვენიისა და იორდანიისა, ჩვენს ჯგუფში ასევე არიან თურქმენი და ჩინელი კალათბურთელები.

ცეცხლის ხაზზე დადგება ტყვიის მსროლელი ნინო ხუციბერიძე, ოლიმპიურ სარბიელზე ასევე გავლენ მხატვრული ტანმოვარჯიშე ქეთევან არბოლიშვილი, ძიუდოისტი ილია სულამანიძე (100 კგ) და ძალოსანი არჩილ მალაყმაძე (69 კგ).

დავით თარგამაძე: „ტრავმის შემდეგ შიშის მომენტია, რომელიც უნდა დაძლიო“

დავით თარგამაძე იმ ფეხბურთელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის იმედი ქართველ გულშემატკივრებს განსაკუთრებულად ჰქონდა, მაგრამ ტრავმებმა შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში ხელი არაერთხელ შეუშალა.

იყო პერიოდი, თარგამაძე ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახლდათ, ახლა კი ნაკრების ყოფილი წევრი საბურთალოშია და ყველაფერს თავიდან იწყებს.

– ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნება, ბევრ ფეხბურთელს ფსიქოლოგიურადაც უჭირს, არსებობს გარკვეული შიშის მომენტი. შენ შემთხვევაშიც ასე იყო?

– გარკვეულწილად კი და ეს ბუნებრივიცაა. როდესაც რამდენიმე ოპერაციის შემდეგ უბრუნდები სავარჯიშო პროცესს, არის შიშის მომენტი, რომ ტრავმა კვლავ არ მიიღო, მაგრამ ეს შიში აუცილებლად უნდა დაძლიო, თორემ არაფერი გამოვა. ახლა თავს მშვენივრად ვგრძნობ, ამისათვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საბურთალოს, ეს გუნდი ყველანაირად გვერდში მიდგას.

– შენი ფეხბურთში დაბრუნება ყველას ახარებს, სავარაუდოდ, გექნებოდა შეთავაზებები უკრაინიდანაც, ამ ქვეყნის ჩემპიონატში ხომ არაერთი წარმატებული სეზონი ჩაატარე?

– გარკვეული შემოთავაზებები მართლაც იყო, მაგრამ ამ ეტაპზე თავი შევიკავე. მირჩევნია საქართველოში ვითამაშო, შინაურ გარემოში და აქ აღვიდგინო ძველი კონდიციები. ისე კი, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ რთულ პერიოდში უკრაინელები დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩემი ჯანმრთელობის მიმართ.

– საბურთალოზე რას გვეტყვი? თბილისური გუნდი ბევრისთვის მოულოდნელად ჩემპიონატის ლიდერია.

– საბურთალო ნათელი მაგალითია იმის, თუ როგორ უნდა განვითარდეს კლუბი. პრაქტიკულად ამ მწვრთნელით და ამ შემადგენლობით ქვედა ლიგიდან დაიწყეს და ახლა სადაც არიან, თავად ხედავთ. დარწმუნებული ვარ, საბურთალოს პროგრესი კვლავ გაგრძელდება და, რაც მთავარია, გუნდი სტაბილურობას შეიძენს. გია ჭიაბრიშვილთან მუშაობა მართლაც ერთი სიამოვნებაა, მისი მეშვეობით გუნდში ძალიან კარგი ატმოსფეროა შექმნილი და ამის გარეშე კი რაიმე სახის წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია. საბურთალოში სწორად რომ მუშაობენ, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ახალგაზრდულ და ასაკობრივ ნაკრებში ამ გუნდიდან ყოველთვის მრავლად იძახებენ ფეხბურთელებს.

– ერთია საქართველოს ჩემპიონატში წარმატებული თამაში და მეორე – ევროტურნირებზე ასპარეზობა, როგორ ფიქრობ, ამ ფორმაციის საბურთალოს რა პერსპექტივა აქვს ევროთასებზე?

– გუნდი საკმაოდ ტექნიკურ, სწორ ფეხბურთს თამაშობს. მრავლად არიან ინდივიდუალურად ძლიერი მოთამაშეები, რომლებიც გამოცდილებას თანდათანობით იძენენ. მთავარი კომპონენტი, რაშიც მოსამატებელი გვექნება, ფიზიკური კონდიციებია. ვფიქრობ, ევროტურნირებამდე კიდევ უფრო შევთამაშდებით და გავძლიერდებით.

– ეროვნულმა ლიგამ შენზე რა შთაბეჭდილება დატოვა? ბევრის აზრით, გუნდების რაოდენობის ათამდე შემცირებას აშკარად დადებითი შედეგი ჰქონდა.

– პროგრესი რომ არის, ეს უდავოა. პრაქტიკულად არ არსებობს ჩემპიონატში იოლი მატჩი. საბურთალოსთან ერთად, მინდა გამოვარჩიო ჩვენი კონკურენტები დინამო და გორის დილა, რომლებიც ასევე კარგად თამაშობენ. როგორც წლების წინ იყო, გუნდებს ახლა ელემენტარული პირობლემები აღარ აწუხებთ. მთავარი ინფრასტრუქტურული საკითხის მოგვარებაა, ამ მხრივაც ბევრია გაკეთებული და, როგორც ვიცი, ახლაც კეთდება. თუ მივაღწევთ იმას, რომ ყველა გუნდს არა მარტო სტადიონი, არამედ ნორმალური საწვრთნელი ბაზაც ექნება, სადაც ფეხბურთელებს თამაშის და ვარჯიშის შემდეგ აღდგენა შეეძლებათ, პროგრესი კიდევ უფრო აშკარა იქნება.

– საინტერესოა შენი შეფასება ეროვნულ ნაკრებზე. ტრავმიანობამდე ხომ ნაკრების წევრი იყავი.

– მიუხედავად იმისა, რომ განვლილ შესარჩევში თამაში ვერ მოვიგეთ – რის გამოც ბევრი აკრიტიკებდა მთავარ მწვრთნელს, მერწმუნეთ, გუნდის პროგრესი აშკარად იგრძნობოდა – მე, როგორც ფეხბურთელს, ამის თქმა არაერთ სათამაშო კომპონენტზე შემიძლია. ფაქტია, ნაკრები ახლა გაცილებით ბრძოლისუნარიანია, კარგად ორგანიზებულია და ეს ჯერ ყაზახეთთან და შემდეგ ლატვიასთან მატჩებშიც გამოჩნდა.

ჰიონესი კოვაჩს ეწდობა

ცნობილი გერმანული ინტერნეტ-გამოცემა ბილდი წერს, რომ მიუნხენის ბაიერნის რამდენიმე ფეხბურთელი უკმაყოფილოა ნიკო კოვაჩის კლუბში მუშაობით. მაგალითად, აიაქსთან ფრედ (1:1) ნათამაშები მატჩის შემდეგ განსაკუთრებით უკმაყოფილო კოლუმბიელი ხამეს როდრიგესი გახლდათ, რომელიც თამაშში მხოლოდ ბოლო ნახევარ საათს გამოჩნდა.

გასახდელში **ხამესმა** კოვაჩის არყოფნის დროს წამოიძახა:

– ჩვენ ფრანკფურტში კი არ ვართ, – რითიც ხორვატი მწვრთნელის წარსულში ფრანკფურტის აინტრახტში მუშაობას გაუსვა ხაზი.

მწვრთნელით ასევე უკმაყოფილოები არიან ლეონ გორეცკა, სერჟ გნაბრი, სანდრო ვაგნერი და ნიკლას ზიულე. ამ უკანასკნელის გარდა, აქ ჩამოთვლილთაგან მიმდინარე სეზონში ყველამ ძალიან ცოტა დრო გაატარა მინდორზე.

ამასთან, რამდენიმე ფეხბურთელს და ასევე გერმანელ მწვრთნელს პეტერ ჰერმანს არ მოსწონს ის, რომ კოვაჩი ხშირად თავის ძმას და ასისტენტს ხორვატიულ ენაზე ესაუბრება, ხოლო ბაიერნის ყველა ლეგიონერს გერმანული ენის სწავლას აიძულებს.

ბილდი იმასაც წერს, რომ კოვაჩის შემცვლელად 3 მწვრთნელი განიხილება: ზინედინ ზიდანი, ლორან ბლანი და არსენ ვენგერი.

თავად კოვაჩს ჯერ საერთოდ არ ანაღვლებს მიმდინარე პროცესები და თვლის, რომ ყველაფერი ნორმალურად მიდის.

ნიკო კოვაჩი:

– ვიცი. ეს ყველაფერი როგორ მუშაობს. ხმებს უცხო ადამიანები ავრცელებენ. ატმოსფერო შესანიშნავია. რა თქმა უნდა, ისინი. ვინც ვერ თამაშობენ. უკმაყოფილოები არიან. ჩვენ არ ვხარობთ, როდესაც ვერ ვიგებთ, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მომენტია. ხამესმა უნდა მიიღოს ყველაფერი ისე, როგორც არის. ჩვენ ბევრი ტოპმოთამაშე გვყავს. ყოველთვის იქნება თამაშები. როდესაც ესა თუ ის ფეხბურთელი მასში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ხამესი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, მან ეს არაერთხელ დაამტკიცა, მაგრამ მე არ შემიძლია ერთდროულად 12 ფეხბურთელი შევუშვა მოედანზე.

კოვაჩს მხარდაჭერას უცხადებს ბაიერნის შეფი ული ჰიონესი, რომელმაც უარყო პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ კლუბი მთავარი მწვრთნელის დათხოვნას გეგმავს. მიუხედავად არასახარბიელო შედეგებისა, ჰიონესს სჯერა ახალგაზრდა ხორვატი სპეციალისტის.

ული ჰიონესი:

– კოვაჩს სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ. ის არ იქნება განთავისუფლებული, მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგებს დადებს გუნდი მომავალი რამდენიმე კვირის განმავლობაში.

ბათუმი ერთპიროვნულად გალიდერდა

აია-ბათუმი 10:34

ბათუმმა აიას ქუთაისში 5 ლეღო გაუტანა, მოგების გარდა ბონუსიც მიიღო და სატურნირო ცხრილში ერთპიროვნულად გალიდერდა. ბათუმისთვის ეს ზედიზედ მეოთხე გამარჯვებაა, ხოლო აიამ მიჯრით მესამე შეხვედრა დათმო.

სტუმრებმა ანგარიში მე-4 წუთზე გახსნეს. ქუთაისელებმა ლეღოდან 5-მეტრში ბურთი დერეფანში ცუდად ააგდეს, ოვალი ვაჟა ხუციშვილმა აიტაცა, ხოლო ლელო მამუკა ნინიძემ გარდასახა. აიამ გარკვეული დროით შეძლო ინიციატივის დაუფლება და ხაზი მიხეილ რატიაშვილმა გადაკვეთა.

ბათუმმა წნეხი გააძლიერა, შერკინების უპირატესობით ისარგებლა, 30-ე წუთზე მეტოქეს უკან დაახვევინა და ვანო ფუტკარაძის ლეღოს შემდეგ, ტაიმი 12:5 დასრულდა.

შესვენების შემდეგ ნინიძემ ორჯერ დაარტყა ჯარიმა კარში, მეორე ზუსტი იყო და სტუმრებმა უპირატესობა გაზარდეს. ოთარ ძაგნიძეს მალევე შეეძლო ჯარიმით ეპასუხა, მაგრამ მიზანი ვერ გაისწორა. თუმცა, გიორგი აბრამიძე მცველებს შორის გაძვრა, ფეხით ითამაშა და ლამაზი ინდივიდუალური ლელო გაიტანა. არჩილ ღონღაძეს გარდასახვა გაუცუდდა და სხვაობა 5-ქულიანი დარჩა.

დასკვნით 10 წუთში ბათუმმა ტემპს უმატა და 3 ლელო გაიტანა,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ბათუმი ერთპიროვნულად გალიდერდა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

რითაც ბონუსიც მოიპოვა. 70-ე წუთზე ანზორ სიჭინავამ ხაზი გაჭრა და სწრაფი იერიში 5 ქულით დაასრულა. ზღვისპირელების მორიგი სწრაფი შეტევა მასპინძლებმა 5-მეტრიან წყვეტილთან შეაჩერეს, მაგრამ მოკლე დარტყმების სერია გიორგი თედორაძის ლელოთი დასრულდა, ბოლო წუთზე კი, ნუკრი ფერსელიძეს გარღვევის შემდეგ ბურთი სიჭინავამდე მივიდა, რომელმაც თავად დუბლი შეასრულა, გუნდის მეხუთე ლელო გაიტანა და სტუმრებს ბონუსიც მოუტანა – 34:10.

ლელო სარასენსი-ლოკომოტივი 20:21

დედაქალაქურ დერბიში ლელო-სარასენსი ლოკომოტივთან ბოლოს წინა წუთზე დაწინაურდა, მაგრამ რკინიგზელებმა საპასუხო შეტევისას ჯარიმა გამოიმუშავეს, ბექა წიკლაურმა გაიტანა და საკუთარ გუნდს 21:20 მოაგებინა.

ტურის ცენტრალური შეხვედრა დიდ დიღომში, „ლელო არენაზე“ გაიმართა. მასპინძლებს პირველივე წუთზე ჰქონდათ დაწინაურების შესაძლებლობა, მაგრამ მერაბ კვირიკაშვილმა 22-ის ხაზიდან გასატანი ჯარიმა ააცილა. მე-6 წუთზე ლელო-სარასენსმა დერეფნიდან მოლი დააყენა, 6-7 მეტრი დაფარა და გიორგი ჭყოიძის ლელო კვირიკაშვილმა რთული პოზიციიდან გარდასახა.

მასპინძლები უპირატესობას ფლობდნენ და შემდეგ მოლს ფარნავაზ გასვიანის სინბინი მოყვა. ლელო-სარასენსმა რიცხობრივი მეტობა ქულებში მე-18 წუთზე ასახა, როდესაც შერკინებაში ჯარიმა გამოიმუშავა და კვირიკაშვილმა ანგარიში 10:0 გახადა.

ტაიმის შუაში ლოკომოტივმა მოახერხა მეტოქის ნახევარზე გადასვლა, მარჯვენა ფრთაზე ჯარიმა გამოიმუშავა, წიკლაურმა ბურთი ფეხით მარცხენა ფრთაზე, ლელოში ჩაკიდა და მასთან პირველი ლევან გოგოლაშვილი გაჩნდა. ზედ შესვენების წინ სტუმრებმა 5-მეტრიანი დერეფნიდან მოლი დააყენეს, მას თორნიკე ტურაშვილი 2 თანაგუნდელთან ერთად მოწყდა და ლელო გაიტანა, ხოლო წიკლაურმა გარდასახვით ლოკომოტივი დააწინაურა – 12:10.

მეორე ტაიმი კვირიკაშვილის ჯარიმით დაიწყო და ლელო-სარასენსმა ლიდერობა დაიბრუნა. მაგრამ ლოკომოტივმა შეძლო ბურთზე კონტროლის დამყარება, მეტოქის ნახევარზე 10 წუთი გაატარა და წიკლაურმა ახლოდან არეკნი გაიტანა, რასაც მალევე ჯარიმაც მიაყოლა. კვირიკაშვილმა 67-ე წუთზე გასატანი პოზიციიდან არაზუსტად დაარტყა და მასპინძლებს მოსაგებად მხოლოდ გარდასახული ლელო სჭირდებოდათ.

დასკვნით 10 წუთში რეფერიმ ყვითელი ბარათი 5-ჯერ ამოიღო ჯიბიდან და 4-ჯერ სტუმართა გუნდის მორაგბეები გაასინბინა, ლევან გოგოლაშვილი, ვახტანგ კავთიძე, გიორგი ბეგაძე და ზვიად მაისურაძე. მასპინძელთაგან ყვითელი რევაზ დუგლაძემ მიიღო. ლელო-სარასენსმა 3-კაციანი რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა, რევაზ ჯინჯიხაძემ ხაზი გაჭრა, რაქიდან ბურთი ირაკლი ყიასაშვილმა მიიღო და ალამთან დაამიწა. ყიასაშვილმა გარდასახვაც თავად შეასრულა და დიდი დიღმელები ზეიმისთვის მოემზადნენ, მაგრამ თამაში რომ განახლდა, ლელო-სარასენსი დაჯარიმდა, წიკლაურმა გაიტანა და ლოკომოტივმა ხასიათი გამოიკეთა.

ახმაზი-აკადემია 36:12

მარნეულის არმაზმა თბილისის აკადემიას ბონუსით, 36:12 სძლია და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე აღზევდა.

მასპინძლები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას და მე-8 წუთზე ლელოთი დაწინაურდნენ, ხოლო საათის თავზე უკვე 36:5 იგებდნენ.

თბილისელებმა დასკვნითი წუთებიც შეტევაში გაატარეს, მაგრამ მხოლოდ ერთი ლელო გაიტანეს და არმაზმა 36:12 მოგებით ბონუსიც ჩაიწერა.

ხახები-ახმია 29:31

თბილისის არმიამ მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა. ლევან ცაბაძის (ლეონსიოს) გაწვრთნილი გუნდი მე-6 ტურამდე ერთადერთი იყო, რომელსაც ეს სიხარული არ განეცადა.

საგულისხმოა, რომ არმიელებმა ხარები დაამარცხეს და თანაც რუსთავში. მანამდე მასპინძლებს მხოლოდ ერთი თამაში ჰქონდათ წაგებული, პირველ ტურში ლელო-სარასენსთან და 4-მოგებიანი სერიისას ჩემპიონი, ვიცე-ჩემპიონი და ბრინჯაოს მედალოსანი დაამარცხეს. ხარებმა დასავლეთ საქართველოდან (ბათუმიდან და ქუთაისიდან) 8 ქულა წამოიღეს, რაც იოლი საქმე არავისთვისაა და აუტსაიდერთან ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

ჯიქი-ვეფხვები 14:13

გორში ადგილობრივ ჯიქსა და პატარძეულის ვეფხვებს შორის გამართულ მატჩში, სეზონის მეორე გამარჯვება მასპინძლებმა ჩაიწერეს – 14:13.

დებიუტანტმა ვეფხვებმა გამოცდილ მეტოქეს არაფერი დაუთმო და დროის დიდი ნაწილი ლიდერობდა, თუმცა მატჩის მიწურულს ჯარიმა გაუშვა და მხოლოდ ბონუსს დასჯერდა.

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

მაიმუნმა მოხუცი ქალი ქოქოსით მოკლა



კუნძულ შრი-ლანკაზე მაიმუნმა მოხუცი ქალბატონს ქოქოსი ესროლა და მოკლა. ინციდენტი ქვეყნის დედაქალაქიდან 150 კილომეტრით დაშორებულ სოფელ ხალანგამუვაში მოხდა.

72 წლის რენჯანი კულერეიტნა საკუთარი სახლის წინ იჯდა, როდესაც მაიმუნი იქვე მდგომ პალმაზე აძვრა და სიმაღლიდან ქოქოსი გადმოაგდო. ნაყოფი ქალს თავზე დაეცა და მიღებული ტრავმის შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა.

მშობლებს ხუთი წლის ბავშვი აეროპორტში დარჩათ

გერმანიაში შვებულებიდან დაბრუნებულ მშობლებს თავიანთი ხუთი წლის გოგონა შტუტგარტის აეროპორტში დარჩათ. როდესაც გამვლელებმა აეროპორტის შენობაში უმეთვალყურეოდ მოსეირნე გოგონა შენიშნეს, მათ მაშინვე პოლიციას აცნობეს. უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა, რადიოკავანძით გამოაცხადეს ბავშვის დაკარგვის შესახებ, თუმცა ამ განცხადებას არავინ გამოხმაურებია. ამის შემდეგ გოგონა შტუტგარტის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს და სწორედ იქ მიაკითხეს ბავშვს მშობლებმა.

აღმოჩნდა, რომ როდესაც ოჯახი დასვენებიდან ბრუნდებოდა, მამა და დედა სახლში ორი მანქანით წავიდნენ. ორივე ფიქრობდა, რომ ბავშვი მეორე მშობელთან ერთად იმყოფებოდა და იმას, რომ ბავშვი დაიკარგა, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, როდესაც სახლში მივიდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ამერიკის ქალაქში მთვრალი ჩიტები გამოჩნდნენ

ამერიკის მინესოტის შტატის ქალაქ გილბერტში ნაადრევმა აცივებამ მთვრალი ფრინველების შემოსევა გამოიწვია.

რამდენიმე პირმა პოლიციის ადგილობრივ განყოფილებას ფრინველების უცნაური ქცევის თაობაზე განცხადებით მიმართა. ისინი ორიენტაციას კარგავენ, ეხეთქებიან სახლების ფანჯრის მინებსა და ქუჩაში მდგომ მანქანებს. ერთ-ერთმა ადგილობრივმა მკვიდრმა ფეისბუქში დაწერა, რომ ერთი კვირის განმავლობაში მის მანქანას შვიდი ჩიტი დაეჯახა, მეორე კი ამტკიცებს, რომ საკუთარი სახლის კართან სამი მკვდარი ფრინველი ნახა.

გილბერტის პოლიციის უფროსმა ტაი ტეკარმა განაცხადა, რომ საინერვიულო არაფერია. მისი თქმით, წელს ნაადრევი აცივების გამო ფრინველებმა სამხრეთში გაფრენა ვეღარ მოასწრეს, მწიფე დაუკრეფავ ყურძენს მიეძალნენ და დათვრნენ.

– სამართალდამცავ ორგანოებში დარეკვისა და ფრინველებზე განცხადებების წერის საფუძველი არ არსებობს, – განმარტა პოლიციის უფროსმა, – ისინი მალე გამოფხიზლდებიან.

ამერიკელმა საფულე დაფერთხა და მილიონი დოლარი იშოვა

კონეკტიკუტის შტატის მცხოვრებმა ჩარლზ დადლიმ საკუთარ საფულეში მომგებიანი ლატარიის ბილეთი აღმოაჩინა, რომელიც ხუთი თვის წინ შეიძინა.

მამაკაცის თქმით, ლატარიის ბილეთი მაისში ავტოგასამართ სადგურზე ქალაქ უილტონში შეიძინა, სადაც ნაყინისთვის შეიარა. მან ბილეთი საფულეში შეინახა და დაივიწყა.

ოქტომბრის დასაწყისში დადლიმ გადაწყვიტა საფულე გაესუფთავებინა და მასში დავიწყებული ლატარიის ბილეთი იპოვა, რომელიც ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილ სხვადასხვა რეცეპტებს შორის იდო. მამაკაცმა ლატარიის გათამაშების ვებ-გვერდზე მომგებიანი კომბინაცია ნახა და საკუთარ თვალებს არ დაუჯერა: ექვსი რიცხვიდან ხუთი დაემთხვა, ხოლო მოგებამ მილიონი დოლარი შეადგინა. ის მოგებაში საბოლოოდ მაშინ დარწმუნდა, როდესაც ნახა, თუ სად იყო შეძენილი ბილეთი. სწორედ ავტოგასამართი სადგურის მისამართი იყო აღნიშნული.

როდესაც დადლი მოგების მისაღებად მივიდა, მას მიულოცეს და უთხრეს, რომ ბილეთის ვადის ამოწურვამდე 23 დღე იყო დარჩენილი. ამერიკელს არ უთქვამს, თუ რაში აპირებს მოგებული თანხის დახარჯვას.

ასტროპროგნოზი

10 ოქტომბისათვის

ვერძი – გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ხალხმრავალ ადგილებს ერიდეთ. დაისვენეთ და გაერთეთ. **კურო** – მეგობრებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. მთავარია, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ. **ტყუპები** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. ახლობელთან უსიამოვნო საუბარი გელით. **კირჩხიბი** – ნაყოფიერ მუშაობაში ხელს შურიანები და არაკეთილმოსურნეები შეგიშლიან. ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა. **ლომი** – სიტუაცია თქვენთვის სასარგებლო მიმართულებას მიიღებს. დაწყებული საქმე დაამთავრეთ. **ქალწული** – შემოქმედებითი არეალის გაფართოებაზე ნუ იფიქრებთ. პირად ცხოვრებაზე იზრუნეთ. **სასწორი** – რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **ღრიანკალი** – დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ზედმეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ ღირს. **მშვილდოსანი** – ახალი კონტაქტები სასიკეთო შედეგს გამოიღებს. თქვენი ფინანსები საკმაოდ გაიზრდება. **თხის რქა** – ოჯახურ ურთიერთობებს გაუფრთხილდით. თქვენს საქმეში ჩარევის უფლებას ნურავის მისცემთ. **მერწყული** – პირობა აუცილებლად შეასრულეთ. დღეს გაამართლებს ახალი საქმის დაწყება. **თევზები** – იყავით ინდივიდუალური. სხვას ნუ მიბაძავთ. მარტოხელებს გელით რომანტიკული ნაცნობობა.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მდინარე ყვარელში; 2. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 3. უნივერსიტეტი პარიზში; 4. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. რიგითი მეზღვაური გემზე; 7. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 11. სახელდახელოდ შეთხზული ლექსი; 12. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 13. ჰაერის გაუხშოებული მდგომარეობა ჰერმეტულ ჭურჭელში; 14. ბატონის, მემამულის ქონების გამგებელი ძველად; 15. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 17. იაპონური მოტოციკლეტი; 19. ტბა იტალიის ჩრდილოეთში.

თარაზულად: 5. ნიჟარაში ბინადარი რბილსხეულიანი უხერხემლო ცხოველი; 6. სატირული ხასიათის მიბაძვა; 8. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 9. ისტორიული ციხე-სიმაგრე ბათუმის მახლობლად; 10. ციური სხეულების სამოძრაო გზა; 11. ციხე-სიმაგრე ძველ თბილისში; 13. ყველაზე დიდი ჩანჩქერი აფრიკაში; 14. ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფი; 16. ქართველი კინორეჟისორი; 18. იაპონური აბანო; 20. არომატიზებული, დასპირტული ღვინო; 21. ავტონომიური ოლქი ესპანეთში.

შეადგინა
თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰუმუსი; 2. ოქსინო; 3. მარჟა; 5. კანა; 6. ნამაზი; 8. კენკრა; 11. ტარანტინო; 13. პრომილე; 14. ბულიონი; 15. ჟინვალი; 19. ტიკი.

თარაზულად: 1. ჰიპოპოტამი; 4. მარკონი; 7. მანტისა; 9. ჟაკერია; 10. ატენი; 12. აშკენაზი; 16. ბარიტონი; 17. ტორნადო; 18. სიკოფანტი; 20. ნესტანი; 21. ლეგო; 22. ცელსიუსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სკოპიე; 2. ანიელი; 3. მესხეთი; 4. ცეილონი; 5. ტავერნა; 7. ფიდელიო; 11. ფურკა; 12. ყაურმა; 13. ფოცხოვი; 14. ხალვაში; 15. მაიამი; 17. მწყერი; 19. დუდა.

თარაზულად: 5. ტოსკანა; 6. კაბერნე; 8. ლიდო; 9. ჭერხო; 10. როლერი; 11. ფიცი; 13. ფონიჭალა; 14. ხორგო; 16. ამური; 18. იახტა; 20. შურდული; 21. მედრესი.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ხატია ბუნიათიშვილის კონცერტით გაიხსნება

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტის ხატია ბუნიათიშვილის კონცერტით გაიხსნება.

წელს საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მასპინძელი ქვეყანაა. ქალაქის ყველა შენობა-ნაგებობა ქართული ანბანით არის გაფორმებული. ფრანკფურტში ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა კულტურული ღონისძიება დაიგეგმა. ქართული მხარე მოაწყობს გამოფენებს, პრეზენტაციებს, ქართული კინოს ჩვენებებს, ქართული ანბანისა და დამწერლობისადმი მიძღვნილ ექსპოზიციებს.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის პირველი მერცხალი ხატია ბუნიათიშვილი იქნება, რომელიც შეკრებილი აუდიტორიისთვის დაუკრავს.

კახი კავსაძეს აკრიტიკებენ



– კახი კავსაძეს! კახი ბატონო! ცხოვრება რთული რამეა და, კაცმა არ იცის, ბედისწერა ვის სად მოისვრის, – ასე მიმართავს რუსთაველის თეატრის მსახიობ კახი კავსაძეს პოლიტიკოსი თამაზ კერძევაძე:

– ყველა გზა და საშუალება რომ მომიკვეთონ, ქუჩაში დავდგები და ხელს გავიწვდი.

თქვენც ხომ ხელი გაქვთ გაწვდილი. რას იზამ, ასეთ უბედურ დროში მოგვიწია ცხოვრება. გულწრფელად გეუბნებით, ამით ჩემს თვალში ოდნავადაც არ დამცირებულხართ. პირიქით.

მაგრამ, როგორც კი მათხოვარი მაღალ ტრიბუნაზე შემოხტება და ერის დამოძღვრას იწყებს, რომ ყველაზე დიდი ადამიანი ის არის, ვინაც მას ვერცხლი ჩაუდო, ეგაა ამაზრზენი!

ირაკლი მაქაცარიას ცეკვა უკრაინულ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ უმაღლესი ქულებით შეაფასეს

უკრაინული „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეხუთე სეზონი ნელ-ნელა ფინალს უახლოვდება. შოუში დარჩენილი მონაწილეები მაქსიმუმს აკეთებენ, რომ პროექტის გამარჯვებულები გახდნენ.

შოუს ქართველი კონკურსანტი ირაკლი მაქაცარია მისმა კონკურენტებმა უკვე აღიარეს ყველაზე ძლიერად. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეშვიდე კვირაში მას შესაძლებლობა მიეცა, თავისი კერპის მაიკლ ჯექსონის სიმღერაზე ეცეკვა.

ირაკლიმ და მისმა მეწყვილემ იანა ზაეცმა პოპის მეფის ერთ-ერთ ჰიტზე საუკეთესოდ იცეკვეს და ჟიურის სამივე წევრისგან უმაღლესი შეფასება – 30 ქულა დაიმსახურეს.

ირაკლიმ ეს ცეკვა თავის მეორე კერპს – დედას მიუძღვნა, რომელიც შვილს დარბაზიდან გულშემატკივრობდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კურიერი პიცაში ჩაფურთხებისთვის სასამართლოს წინაშე წარდგა

თურქეთში დაიწყო კურიერის საქმის სასამართლო მოსმენა, რომელმაც პიცაში ჩააფურთხა. სავარაუდოდ მას 18 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ინციდენტი ქალაქ ესკიშეხირში მარტში მოხდა. პიცის დამტარებელმა 18 წლის ბურაკ ს-მ, კოლოფი გახსნა, ზედ დაიხარა, რა დროსაც ხელში ტელეფონი ეჭირა. მან პიცაში ჩააფურთხა, რის შემდეგაც მეხუთე სართულზე შემკვეთს ხუსეინ ალიუზს მიუტანა.

კურიერს წაყენებული აქვს ადამიანების სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის ბრალდება საკვების მოწამვლით ან მისი გაფუჭებით, რისთვისაც მას 2-დან 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება და ასევე საქონელის გაფუჭების და მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმისთვის ოთხი თვიდან, სამ წლამდე პატიმრობა.

თავად ბურაკი ამტკიცებს, რომ კოლოფი იმისთვის გახსნა, რომ ენახა, თუ როგორ მდგომარეობაში იყო პიცა, ვინაიდან გზაში, ის მცირე ავარიაში მოყვა. ვიცოდი, რომ პიცის შემკვეთმა ჩემი კოლეგა ეილინი, რომელმაც შეკვეთა მიიღო, გალანძღა, ვიცოდი, რომ ის პრობლემური კლიენტი იყო. კოლოფი გავხსენი, დავრწმუნდი, რომ ყველაფერი რიგზე იყო, შემდეგ მას სურათი გადავუღე და ეილინს გავუგზავნე. მე მასში ნამდვილად არ ჩამიფურთხებია, – განაცხადა სასამართლოზე კურიერმა.

თავის მხრივ ალიუზი ამტკიცებს, რომ პიცის შეკვეთის დროს შეურაცხყოფა არავისთვის მიუყენებია. მას უკვე ორი ნაჭერი ჰქონდა შეჭმული, როდესაც მისი ნათესავის კონსიერჟის შეტყობინება მიუვიდა ტექსტით „არ ჭამო პიცა“. ამის შემდეგ, მათ ერთად უყურეს სათვალთვალო კამერების ჩანაწერებს და გადაწყვიტეს, რომ კურიერმა პიცაში ჩააფურთხა.

სასამართლომ საქმის მოსმენა თებერვლამდე გადადო. მანამდე ექსპერტებმა უნდა გაარკვიონ, მიადგებოდა თუ არა კლიენტის ჯანმრთელობას რაიმე სახის ზიანი, თუ ის პიცას მთლიანად შეჭამდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„საქართველოს ვარსკვლავი“ პირველი არხის ეთერში გავა

მეგაპროექტი „საქართველოს ვარსკვლავი“ პირველი არხის ეთერში გავა. მუსიკალური შოუს გამარჯვებული კი საქართველოს ევროვიზია 2019-ზე წარადგენს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ მეგაპროექტის განხორციელებაზე თანხმობა უკვე გასცა. პროექტს გიორგი ხაბურძანიასა და დემნა ჯაფარიძის კომპანია „ნოვა პროდაქშენსი“ განახორციელებს.

მუსიკალური მეგაშოუ პირველი არხის ეთერში 2019 წლის იანვრიდან დაიწყება. შოუს მონაწილეთა შესარჩევად კასტინგი მთელ საქართველოში ჩატარდება. კონკურსში მონაწილეობა 16 წლიდან არის შესაძლებელი. რამდენიმე ეტაპად შერჩეული კონკურსანტები მთავარი ჯილდოსთვის იბრძოლებენ. 10 კონკურსანტს შორის საუკეთესოს 4-კაციანი ჟიური და მაყურებლები ერთობლივად გამოავლენენ.

ახალი მუსიკალური მეგაშოუ ცნობილი საერთაშორისო მუსიკალური შოუს „პოპ აიდოლის“ ანალოგია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის თინათინ ბერძენიშვილის განმარტებით, მეგაშოუზე იმუშავებს ჯგუფი, რომელსაც ბაზარზე დიდი გამოცდილება აქვს:

– პირველი არხი ?დაანონსებულ მეგაშოუს იწყებს. შოუზე იმუშავებს ჯგუფი, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება ამ ბაზარზე. ოპტიმისტურად ვართ განწყობილი. ორმაგად მნიშვნელოვანია, რომ ეს მიებმება საერთაშორისო კონკურსს, ევროვიზიას და გამარჯვებული წარადგენს საქართველოს 2019 წლის ევროფესტივალზე.

კომპანია „ნოვა პროდაქშენსის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი გიორგი ხაბურძანია ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ პირველი არხი ახალი პროექტით ახალ საერთაშორისო სტანდარტს ამკვიდრებს:

– უპრეცედენტო რამ ხდება, რითაც საზოგადოებრივი მაუწყებელი საქართველოსთვის ახალ, საერთაშორისო სტანდარტს ამკვიდრებს. შოუს „პოპ აიდოლის“ „საქართველოს ვარსკვლავის“ მეშვეობით გამოვლინდება, ვინ გაემგზავრება ევროვიზიაზე. ეს უნიკალური შემთხვევაა, რაც მაყურებლის ჩართულობას ერთიორად გაზრდის. მაყურებელს თავიდანვე ეცოდინება, რომ გამარჯვებული მხოლოდ მატერიალურ პრიზებს კი არ მიიღებს, არამედ საქართველოს ვარსკვლავიც გახდება და უმნიშვნელოვანეს პროექტ ევროვიზიაზე საქართველოს წარადგენს.

„ნოვა პროდაქშენსის“ წარმომადგენლის დემნა ჯაფარიძის განცხადებით, „საქართველოს ვარსკვლავი“ იქნება პირველი პროექტი, რომლითაც მათი გუნდი საზოგადოებრივ მაუწყებელთან მაღალი რეიტინგისთვის მუშაობას დაიწყებს:

– ჩვენი და საზოგადოებრივი მაუწყებლის მოლოდინი დიდია. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ შოუს რეიტინგი მაღალი იყოს. ეს იქნება პირველი პროექტი, რითაც დაიწყება ჩვენი ურთიერთობა საზოგადოებრივ მაუწყებელთან მაღალი რეიტინგისთვის. დიდი მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის. დანარჩენი ჩვენზეა და დიდი იმედი გვაქვს ადგილობრივი გუნდის, რომელსაც წლების განმავლობაში არაერთი საინტერესო პროექტი შეუქმნია.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მერვე სეზონი დაიწყო

ტელეკომპანია „იმედმა“ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მერვე სეზონი დაიწყო. შოუს წამყვანები დუტა სხირტლაძე, კახა კინწურაშვილი, მანიკა ასათიანი და გიორგი ბახუტაშვილი არიან.

ჟიურიში კი პროექტის ხელმძღვანელებმა მიიწვიეს გოჩა ჩერტკოევი, ნინო სუხიშვილი, სოფო შევარდნაძე და ზაკ რისი.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ახალი სეზონის მონაწილეები არიან გიორგი გილიგაშვილი და სალომე ჭაჭუა, ამიკო ჩოხარაძე და ჯულიანა ბარ-გნარი, ნინო ჩხეიძე და რამაზ ლაზარიშვილი, ირაკლი კაკაბაძე და ელენე სურმანიძე, მარიკა თხელიძე და დევიდ ლევინი, თამთა შედანია და ირაკლი ძაძამია, ლალი მოროშკინა და დიმიტრი ვარანკინი, რატი დურგლიშვილი და ეკატერინე კლიშინა, გიორგი ორბელაძე და ელენა რამი-რუხი, ირინა კავსაძე და ოთო ფოლადაშვილი, თორნიკე კვერენჩხილაძე და ანი ჯავახი, რუსკა ქარქაშაძე და იაკობ ყუფუნია, დათო გომართელი და ირა კვიტინსკაია.

13-მა წყვილმა პირველ დღეს ვენური ვალსი, კონტემპორარი, ფოქსტროტი, ბროდვეი ჯაზი, ტანგო, ჰიპ-ჰოპი, სამბა, ჩა-ჩა-ჩა და ჯაივი იცეკვა.

ჟიურის მიერ დაწერილი ქულებით ყველაზე მეტი, 30 ქულა დააგროვეს ირინკა კავსაძემ და ოთო ფოლადაშვილმა, 29 ქულის მფლობელები გახდნენ გიორგი გილიგაშვილი და სალომე ჭაჭუა, 28 ქულით კი მესამე ადგილი ამიკო ჩოხარაძემ და ჯულიანა ბარ-გნარმა დაიკავეს. ყველაზე დაბალი – 17 ქულა ჟიურისგან ირაკლი კაკაბაძისა და ირინა სურმანიძის წყვილმა მიიღო.

მომდევნო ორშაბათს „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მერვე სეზონს უკვე ერთი წყვილი დატოვებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თაღლითმა ქალი ფულით მოხიბლა და გაქურდა

გათხოვილი ტაილანდელი ქალბატონი თაღლითმა, რომელიც თავს შეყვარებულად ასაღებდა და ინტერნეტით ეკონტაქტებოდა, საკმაოდ სოლიდური თანხის გარეშე დატოვა.

რაიონგის პროვინციაში ფაბრიკის თანამშრომელს ორი თვის განმავლობაში ფეისბუქით სასიყვარულო მიმოწერა ჰქონდა უცხოელ მამაკაცთან მორგან ჯერიკოსთან. ის 40 წლის ტაილანდელს უცხოელ პილოტად წარუდგა და არწმუნებდა, რომ მალე ჩავიდოდა ტაილანდში და იქ საკუთარ ბიზნესს ააწყობდა.

ჯერიკო ქალს სიყვარულს ეფიცებოდა და ძვირფასი საჩუქრების: მაჯის საათის და ფულით სავსე ჩანთის გაგზავნას ჰპირდებოდა. მან „შეყვარებულს“ სთხოვა საბაჟო მოსაკრებელი გადაეხადა და ქალმაც მას 110 ათასი ტაილანდური ბატი გადაურიცხა.

– თუ შენ მოსაკრებელს აანაზღაურებ, საჩუქრებს პირდაპირ სახლის კართან მოგიტანენ. მშვიდად იყავი ჩემო სიყვარულო, ყველაფერი კარგად იქნება, – მიწერა ქალს ჯერიკომ.

თუმცა საჩუქრები ქალს არ მიუღია, ხოლო შეყვარებული მის შეტყობინებებს აღარ პასუხობდა. უფრო მეტიც, მოტყუებული ქალის მეუღლემ ოჯახის ანგარიშიდან დიდი თანხის დანაკლისი აღმოაჩინა და ცოლი იძულებული გახდა, მისთვის ყველაფერი მოეყოლა. წყვილმა დახმარებისთვის პოლიციას მიმართა.

ჯარისკაცმა შეყვარებულისთვის ხელის სათხოვნელად საკუთარი სიკვდილი გაითამაშა

ფილიპინებზე სამხედრო მოსამსახურემ საკუთარი სიკვდილის ინსცენირება მოაწყო იმისთვის, რომ თავისი შეყვარებულისთვის ეფექტურად ეთხოვა ხელი. მისი მეგობრის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ჯარისკაცი მოელაპარაკა საგზაო პოლიციელს და საკუთარი მოტოციკლის გვერდით გზის სავალ ნაწილზე დაწვა. პოლიციელმა გოგონა „შემთხვევის ადგილზე“ მიიყვანა და უთხრა, რომ ყველაზე უარესისთვის მზად ყოფილიყო. ატირებულმა გოგონამ შეყვარებულთან მიირბინა, ეგონა, რომ ის ავარიაში მოყვა.

როდესაც გოგონა მამაკაცის გვერდით აღმოჩნდა, ის მოულოდნელად „გაცოცხლდა“, გოგონას წითელი ფერის კოლოფი გაუწოდა, რომელშიც ნიშნობის ბეჭედი იდო და ცოლობა სთხოვა. გოგონამ თანხმობით უპასუხა.



ინდოელს საჭესთან მაიმუნის დასმა სამსახურის დაკარგვად დაუჯდა

ინდოეთში ავტობუსის მძღოლი სამსახურიდან იმის გამო გაათავისუფლეს, რომ მან გულმანის სახეობის მაიმუნი მანქანის საჭესთან დასვა.

ინციდენტი კარნატაკას შტატის ქალაქ დავანგერში მოხდა. 36 წლის ავტობუსის მძღოლმა მ.პრაკაშმა ხუმრობით საჭესთან გულმანი დასვა და ეს ერთ-ერთმა მგზავრმა ვიდეოზე გადაიღო. ვიდეორგოლი ფართოდ გავრცელდა ინტერნეტში და ის მძღოლის ხელმძღვანელებმაც ნახეს. მათ გადაწყვიტეს, პრაკაშმა სამსახურიდან გაეთავისუფლებინათ.

– მძღოლი მ.პრაკაშმა თანამდებობიდან გადაყენებულია იმის გამო, რომ მან მაიმუნს საჭესთან დაჯდომის უფლება მისცა. მგზავრების უსაფრთხოების დაცვა უპირველესია და მძღოლს ასეთ რისკზე წასვლის უფლება არ აქვს, – განაცხადა შტატის ავტობუსების კომპანიის წარმომადგენელმა. მან იქვე დაამატა, რომ ინციდენტის გამოძიება ჯერ არ დასრულებულა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 ოქტომბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6184

ევრო — 3.0033

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4128

100 რუსული რუბლი — 3.9155

ამინდის პროგნოზი 10 ოქტომბრისთვის

კორტნი კარდაშიანმა ინსტაგრამის მომხმარებლები დაბლოკა

ფოტომოდელმა კორტნი კარდაშიანმა მთელი რიგი ინტერნეტ-მომხმარებლები დაბლოკა, რომლებიც ინსტაგრამში მის გვერდზე წერდნენ, რომ ის არ შრომობს და არ უვლის საკუთარ შვილებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტროლებმა კარდაშიანის პოსტი, რომელშიც მან საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი საკუთარი ფოტოსურათი გამოაქვეყნა და კომენტარში დაწერა, რომ „ზოგჯერ დასვენებაც საჭიროა“, დაცინვის ობიექტად აქციეს.

ამის საპასუხოდ ზოგიერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა დაწერა, რომ კარდაშიანი ფუქსავატურად ცხოვრობს.

– დაიკო, შენ ხომ არასოდეს გიმუშავია, – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

კარდაშიანმა მასზე ასეთი შეხედულება გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ზედიზედ ექვსი ბიზნესგარიგება გააფორმა, ზრდის სამ საოცარ ბავშვს და კრიტიკოსი ინტერნეტ-მომხმარებლები დაბლოკა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დე ხეას მანჩესტერი მობეზრდა

დავიდ დე ხეა მანჩესტერ იუნაიტედთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას ჯერჯერობით არ აპირებს. ინგლისურ მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ დე ხეას მანჩესტერიდან წასვლა სურს, რადგან ამ გუნდში თამაში მობეზრდა.

დე ხეა უკვე 7 წელია, მანჩესტერის ღირსებას იცავს და ამ ხნის განმავლობაში მან უამრავი შეხვედრა ჩაატარა და ყოველთვის გამოირჩეოდა სტაბილური თამაშით. ადრე მისი ყიდვა მადრიდის რეალს სურდა, მაგრამ მანჩესტერმა ის არ გაუშვა.

რეალი ნეიმარს არ ეშვება

მადრიდის რეალის პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს კვლავინდებურად სურს, რომ ნეიმარი რეალში აღმოჩნდეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პერესი ჩუმად აწარმოებს მოლაპარაკებას პირადად ნეიმართან და მას ზღაპრულ პირობებს სთავაზობს. ამ ინფორმაციას თვითონ ფეხბურთელი არ ადასტურებს, თუმცა ნეიმარის სახელს რეალს უკვე დიდი ხანია უკავშირებენ და, შესაძლოა, ამ ამბებში სიმართლის მარცვალიც იყოს.

ნეიმარი პსჟ-ში 2017 წელს გადავიდა.

პიკე: „ჩემი შეცდომები ბევრს უხარია“



ბარსელონის ცენტრალურმა მცველმა ჟერარ პიკემ აღიარა, რომ ბოლო პერიოდში ის ბევრ შეცდომას უშვებს.

პიკეს თქმით, მან არ იცის, ეს რატომ ხდება, თუმცა დარწმუნებულია, რომ მისი შეცდომები ბევრს უხარია:

– ბარსელონას ამჟამად რთული პერიოდი აქვს და ეს ჩემი ბრალიც არის. არ ვიცი, რა მემართება, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრ შეცდომას ვუშვებ. ვიცი, რომ ბევრი ელოდება, ფეხი დამიცდეს და მათ ჩემი შეცდომები უხარიათ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული ქმარი ცოლს წერს:

– საყვარელო, ამ თვეში, სამწუხაროდ, ფულს ვერ გიგზავნი. გიგზავნი 100 კოცნას.

ცოლი პასუხობს:

– მადლობა, ძვირფასო, 100 კოცნისთვის! გიგზავნი გასავლების ანგარიშს:

1. მერძევე დღეში ერთი ბოთლი რძისთვის 2 კოცნაზე დამთანხმდა.

2. ელექტრიკოსი მხოლოდ 7 კოცნაზე დამთანხმდა.

3. სახლის პატრონი ყოველდღე მოდის თავისი 3 კოცნისთვის.

4. მაღაზიის პატრონი მხოლოდ კოცნაზე თანახმა არ არის და სხვა რამის მიცემაც მომიწია...

5. სხვადასხვა ხარჯები კიდევ 40 კოცნა. არ ინერვიულო, თვის ბოლომდე კიდევ 35 კოცნა დამრჩა. მომავალ თვეშიც იგივე დავგეგმო?

●●●

ორი დაქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გინდა, ფოკუსი გიჩვენო?

– მინდა.

– ხედავ, სინათლე ანთია?

– ვხედავ!

პირველი ჩამრთველთან მივიდა, სინათლე გამორთო და ეუბნება:

– აბა, სად იქნება ახლა?

– არ ვიცი.

პირველმა მაცივრის კარი გამოაღო და დაიძახა:

– აი, აქ არის.

●●●

პოლიციაში მისული გოგონა ოფიცერს ეუბნება:

– ძალიან მიყვარს სექსი. ენით აუწერელ ექსტაზში შევყავარ. ამ დროს ჩემში ყველაფერი დუღს და სიგიჟემდე მივყავარ, ველური აღტკინების ქარიშხალი შიგნიდან ბომბასავით მაფეთქებს, ჭკუის შემშლელ ორგაზმს განვიცდი და მაშინ უკვე საკუთარ თავს ვეღარ ვაკონტროლებ. ღამეში კი 50-მდე ორგაზმს განვიცდი.

– ექიმთან წადით, პოლიციაში რა გინდათ?

– მეზობლები მოკვლით მემუქრებიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია



მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ამერიკელი კარის გასამაგრებლად 30 წელი მეტეორიტს იყენებდა



ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ გრანდ-რეპიდსის მკვიდრმა აღმოაჩინა, რომ მეტეორიტი, რომელსაც წლების განმავლობაში უბრალოდ კარის გასამაგრებლად იყენებდა, დაახლოებით ასი ათასი დოლარი ღირს.

1988 წელს მამაკაცმა მიჩიგანის შტატში ქალაქ ედმორის მახლობლად ფერმა იყიდა. ის უცნაურმა მოზრდილმა ქვამ დაინტერესა, რომელსაც ფარდულის კარი ეჭირა. „ეს მეტეორიტია“ – განუმარტა ფერმერმა. მისი თქმით, დაახლოებით 50 წლის წინ ღამით ცაში კაშკაშა ნათება შენიშნა, მეორე დილით კი მინდორში გაჩენილი კრატერიდან ჯერ კიდევ თბილი ქვა ამოიტანა.

მეტეორიტი 30 წლის განმავლობაში კარის გასამაგრებლად გამოიყენებოდა ედმორის ფერმაში, შემდეგ კი – უკვე გრანდ-რეპიდსში, სადაც მისი ახალი მფლობელი გადავიდა. მამაკაცმა მისი ნამდვილი ღირებულების შესახებ არაფერი იცოდა, სანამ ახალ ამბებში არ ნახა სიუჟეტი ადამიანებზე, რომლებიც სხვა მეტეორიტის ფრაგმენტებით ვაჭრობდნენ.

მან ქვა მიჩიგანის უნივერსიტეტში მიიტანა, სადაც გეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორმა მონა სირბესკიმ დაათვალიერა. მისდა გასაკვირად, მეტეორიტი ნამდვილი აღმოჩნდა.

– ის ერთ-ერთი ყველაზე ფასეული ნიმუშია მათ შორის, რომლებიც კი ოდესმე ხელში მჭერია როგორც სამეცნიერო თვალსაზრისით, ისე მისი ღირებულებით, – განაცხადა პროფესორმა. როგორც გაირკვა, მეტეორიტი რკინისა და თუთიისგან შედგება და თითქმის 10 კილოგრამს იწონის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. გოეთეს ტრაგედია; 2. საეკლესიო საგალობელთა კრებული; 3. წყლის საქაჩი მოწყობილობა; 5. სანადირო თოფების წარმოების ცენტრი გერმანიაში; 6. დამჟავებული ბოსტნეული; 8. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 11. კომპანია „როლექსის“ დამფუძნებელი; 13. იტალიური ლიქიორი; 14. ესპანეთის დედაქალაქი; 15. აზიის სტეპებში გავრცელებული ანტილოპა; 19. საავტომობილო შეჯიბრების ერთ-ერთი სახეობა.

თარაზულად: 1. თერმომეტრის გამომგონებელი გერმანელი ფიზიკოსი; 4. ზოგიერთი მცენარის მიერ გამოყოფილი სქელი სურნელოვანი სითხე; 7. საქართველოში გავრცელებული წითელმერქნიანი წიწვოვანი ხე; 9. მაიმუნის ერთ-ერთი სახეობა; 10. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი; 12. ჩეჩნებისა და ინგუშების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 16. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 17. ორადგილიანი ველოსიპედი; 18. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 20. დიდი სარკინიგზო მამული ბრაზილიაში; 21. ცხენისა და ვირის ნაშიერი; 22. სამგლოვიარო მესა კათოლიკურ მღვდელთმსახურებაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა